


ფასი 25 კპ.



№ 13

წელიწადი მეორე.

# სსოპრემა

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.
2. დავით შაქარისძე სარაჯიშვილს, ლექსი, აკაცისა.
3. ანდროძი, ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.
4. ვლადიმერ ალექსანდრესძე სტაროსელსკი.
5. გამოცანა, ახ. მ—ლისა.
6. ორი თვის ჯამაგირი, აბესალომ ტაბიძისა.
7. შანგები, ლექსი.
8. ზენობნიელისა.
8. ქორწილში, თავ-თეთრისა.
9. ეგებ, შენა ხარ, ლექსი, სანდრო გურულისა.
10. სურვილი, ხ. ვარდოშვილისა.
11. ბედი ვაცისა წაავახს, ნესტორისა.
12. კრიტიკა, ხომლოლისა.
13. არც იქით, არც აქით, დასასრული, რ. საჯავახოელისა.
14. აგარაკი ბახმარო, ვასო ჭითავასი.
15. შევნიერი ნინო, მინა რაჭველისა.

### 1 სექტემბერი 1916 წ.

ქ უ თ ა ი ს ი

სტამბა „ქობა“, პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოკიელისა.



ორგანიზაციული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## † ეკატერინე ივანეს ასული სარა- ჯიფილისა.

ნ მარიამობისთვის სრულიათ მოულოდნელათ, კავკასიდან თბილისისკენ მგზავრობის დროს, მღვთში გარდაიცვალა დიდი მამული-შვილი, ამ ჩვენი დროის, ერთი სასიქადულო ქართველი მანდილოსანი, ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიფილისა...

მოკვდა ხორციელათ ახალი, აღორძინებული საქართველოს შვილი—მოქალაქე. მარა სულიერათ ახალი საქართველოს ისტორიაში მან შესაშური მუდმივი სიცოცხლე და უქკნობი უკვდავება დაიმკვიდრა...

ის შესანიშნავი ანდერძი, რომლითაც მან და იმისა დაუვიწყარმა ქმარმა, დავით ზაქარიასძემ ყველა ქართული კულტურულ—განმანათლებელი დაწესებულება მკვდრეთით აღაღგინა, ისეთი დიადი ფაქტია პატარა, მარა შევნიერი საქართველოს აწინდელ ცხოვრებაში, რომ არ შეიძლება გულწრფელმა ქართველმა გულის დიდი სიხარული და სულის ჭაეროვანი აღტაცება არ განიცადოს.

მახსოვს, ჩემს სიყმაწვილეში, საქართველოს საზღვრებს გაცილებული, გზათ მიმავალი, უცხო პრესაში რა შევხვდებოდი ქებას ისეთი ქართველი გოლიათებისას, როგორც გაბრიელ ეპისკოპოზი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ნიკონიკოლაძე, ვასილ პეტრიაშვილი და დავით სარაჯიფილი, დიდი თავმოწონების გძნობა ძალაუნებურათ შემიპყრობდა, გულიც გამიმხნევებოდა და წინ, წარმატებისკენ იწევდა დაუღალავათ სული ჩემი.

ასეთი ადამიანების ცხოვრებას, მართლაც, დიადი გამამხნევებელი, წმინდა მორალური მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობისთვის.

ეკატერინე ივანეს ასულმა უანდერძა

ოთხი, თუ ხუთი მილიონი საქართველოს კულტურულათ აყვავების საქმეს და ეს ისეთი დიადი, მატერიის სახით გამოხატული საგანძურია, ისეთი ამბავია, რომლის მგზავსი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს...

ეს ჩვენში არც ნახული, არც გაგონილი მაგალითი ამიერიდან ქართველი კაცის გატეხილს გულს გაამთვლებს. ქართველ მოღვაწეს კეთილ-შობილური მისწრაფებით სულს აუმაღლებს, ენერჯიას და ხასიათს გაუმტკიცებს საქვეყნო მოქმედებისა და შემოქმედებისთვის, მორალურათაც აღამაღლებს, ერთი სიტყვით, მთელის არსებით გარდაქმნის, როგორც საკუთარი, ისე სხვების, უცხოელების თვალშიაც და აღტაცებითაც წამოიძახებს:

ლეკვი ლფმისა სწორია,

ძუ იუაჲს, თუნდა ხვადია...

ეკატერინე დაიბადა 27 იანვარს 1861 წ, თფილისში, მდიდარი მოქალაქის, ივანე ფორაქიშვილის ოჯახში. დედა ეკატერინესი იყო ნატალია იოსებ წილოსანის ასული, თფილისის ძველებური, ქართული შეძლებული ოჯახის შვილი. შეძლებულმა მშობლებმა თვისი ასული შევნიერათ აღზარდეს და ეკატერინემაც მანდილოსნისთვის, მართლაც, სამაგალითო განათლება მიიღო.

დედ-მამამ თვისი ასული-კატო გათქმულ ფავრის პანსიონში მიიბარა, სადაც სწავლობდა მეორე ჩვენი თავმოსაწონებელი მანდილოსანი, ეკატერინე გაბაშვილისა. ოჯახშიაც კატოსთვის საგანგებოთ მოწვეული ყავდათ მასწავლებელნი, რომელნიც მას ხელმძღვანელობდენ. დიდი გავლენა ქონდა კატოს ხასიათზე, ნამეტურ, მამიდას—ნატალია სულხანიშვილისას, რომელიც წმინდა ძველებური სულგძელი ადამიანი იყო და ქართული მწერლობის დიდი მოტრფილეც.

კატომ ზედმიწევნით იცოდა სასწავლო



საგნებიც, ქართული ენა და მწერლობა. იყო და კარგათ ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენები. ერთი სიტყვით, ამ ჩვენი დროის ერთი თვალსაჩინო განათლებული ქართველი მანდილოსანი იყო.

იგი ბუნებით იყო სათნო, ღეთის მოსავი, ძველებურათ ოჯახის დიდი მზრუნველი, შრომის მოყვარე, მუყაითი და ლმობიერი, მარათ კეთილის მყოფელი ადამიანი. როგორც ღეთის მოსავი, მტკიცეთ ასრულებდა სახარების სიტყვას: რასაცა გასცემს მარჯვენე შენი, მარცხენამ არა უწყოდესო. და, რასაც კველმოქმედებდა, ან ვისმეს ეხმარებოდა—იმ პირობით, რომ არავისთვის გაემხილათ. დიდი მოყვარული და მფარველი იყო მწერლობა-ხელოვნების და ეს თვისი ნაანდერძებითაც ნათელ ყო.

**როგორც მეუღლე**, სამაგალითოდ იყო მიჩნეული. როდესაც ქმარი შეირთო (დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი, ჯვარი დაიწერა 1880 წ. 22 ივნ. ბორჯომში, სწორეთ იმ დღეს, რა დღესაც ქართ დრამ. საზ. წესდება დამტკიცდა), მისი მარჯვენა ხელი და უმთავრესი შემწე შეიქნა. დავით და ეკატერინე ყოველგვარ სამრეწველო, ან სხვა საზოგადო საქმეს ერთად განაბტობდენ, შეთანხმებული რჩევით გადაწყვეტდენ და ისე გააკეთებდენ. ჯვარი რო დაიწერეს, დავითის სამრეწველო საქმე მინცა და მიინც საიმისო დონეზე არ იდგა. ეკატერინემ, სამშობლო კერაზე ძველებურ-ქართულათ აღზდილმა, დიდი უნარი გამოიჩინა, თვისი მეუღლის ნამდვილი უღლის გამწევი შეიქნა და ოჯახი ფეხზე დააყენა.

დავითის გარდაცვალების შემდეგ, ქმარი სეულ სამრეწველო-საქარხნო საქმეებს სათავეში ჩაუდგა და წარმოება არა თუ შეამცირა, გაასამკეცა. ყველგან და ყველაფერში თვით მონაწილობდა, საქმეს გონივრულათ მართავდა...

როგორც გონება-გავითარებულმა, გონიერმა და შორსგამჭვრეტელმა ადამიანმა, ეკატერინემ მთელი თვისი დიდი ქონება, ისე განაწილა, რო მთელ ჩვენს ერს არგოს, უმეტესი წილი—კი დაუტოვა ქ. შ. წ. კ. გ. ქართულ

დრამატიულ, ქართულ საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოებათა და ქ. ქუთაისის თეატრის ასაგებათ. გარდა ამისა, რომ ამ უხვი შეწირულებით ამ საზოგადოებათ ნივთიერი სახსარი შემატა, სახელი და პატივიც განუძლიერა. დაე, სხვების სამაგალითოდ იყოს საქმენი მისნი...

ამბობენ, ამ დიდებული ანდერძის დედა-აზრი დავითის ნაკარნახევიაო. მით უფრო დიდება და სახელი ეკატერინეს, რო ქმრის გონივრული რჩევა ცოცხალ საქმეთ აქცია ერის საკეთილდღეოთ...

ეკატერინე თვით თავს დატრიალებდა. თვის საკუთარ ცოცხალ საქმეს და, ბოლოს, თავიც მას გადააგო: შეიტყო, თუ არა კისლავოდსკში თფილისის სასახლე ჯარის საჭიროებისთვის უნდა ჩამოგართვანო, თვით ავთამყოფი გამოექანა, რო სახლს მოპატრონებოდა. მარა გზაში უეცრათ გარდაიცვალა.

ამიერიდან იმისი მდიდარი ოჯახის და სახლის კარი დაიხშო და დაიკეტა: იქ მეგობარი ფეხს ვეღარ შედგამს. მარა, სამაგიეროთ, მთელი ქართველი ერის გული ფართედ გაიღო და შიგ საუკუნოთ ჩაისვენა ნათელი სახე ამ სამაგალითო ქართველი მანდილოსანის—ეკატერინესი და მისი უკვდავი მეუღლის-დავითისა...

დაკრძალვის წინა დღით, 10 აგვისტოს, განსვენებულის ბინაზე უკანასკნელი პანაშვიდი გადაიხადა გორის ეპისკოპოსმა ანტონმა. თანამწირველნი იყვენ ქალაქის უმაღლესიქართველ საღვდელოების წარმომადგენელნი. გალობდა ქართველ მომღერალ-მგალობელთა გუნდი.

პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწო, მათ შორის: წარმომადგენელნი ყველა ქაოთულ საკულტურო-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საზოგადოებისა, ქართველ თავად-აზნაურობისა, თვითმართველობისა და სხვათა.

ცხედარი, 11 აგვისტოს, დღით, ბინიდან ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გამოასვენეს. გამოსვენებაში დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილობა.

ქაშვეთის ეკლესიაში მიცვალებულის წი-



რვა გადაიხადა ვორის ეპისკოპოზმა ანტონმა ქალაქის ქართველ საღვდელთა თანამწირველობით.

დაესწრენ ყველა ქართულ დაწესებულების წარმომადგენელი, აგრეთვე სხვა და სხვა დაბა-ქალაქიდან ჩამოსული დელეგატები.

ქაშვეთის ეკლესიის გალავანში სიტყვა წარმოთქვა ქუთაისის ქალაქის მოურავმა, ი.მ. ჩიქოვანმა.\*)

ამის შემდეგ, კუბო წაასვენეს დიდუბის ეკლესიის გალავანში, სადაც ცხედარი მიწას მიიბარეს, ქმრის გვერდით.

საფლავზე სიტყვები წარმოთქვეს: ქუთაისის ქართულ დრამატულ საზოგ. თავმჯდომარის ამხანაგმა, აკაკი ფაღავამ, ი. მერკვილიძემ, თფ. დრამატულ საზოგადოების თავმჯდომარემ, თ. დმა ნ. დ. ერისთავმა და „თეატრი და ცხოვრების,, რედაქტორმა, იოსებ იმედაშვილმა.

აკაკის დაუბავდავი ლექსი.

დავით ზაქარიას ძე სარაჯ-იძეილს.

სიმართლეს ვამბობ, როგორც მგოსანი და, თუ ტყუილი ვისმეს გონია, ჩანს, რომ პირადათ მე ის ვერ მიცნობს და სხვისგან რაზე გაუგონია.

მდიდარ-ღარიბი, ხარისხოვანი და უხარისხოც ჩემთვის ერთია! სადიდებელი და სათაყვნო, რომ გავასხვავო, მხოლოთ ღმერთია!

შენ მე ვერ მიცნობ. მარა მე გიცნობ!.. დიდი ხანია, რაც გიკვირდები!.. შენ იმას აძლევ ამ ჩვენ ქვეყანას, რასაც არ ამბობ და არ პირდები.

საქმე კეთილი, რომ გამომეღავენდეს, შენ ერიდები... ეკრძალვი ქებას, და, ვით მორწმუნე, მტკიცეთ ასრულებ საქრისტიანოს მით სახარებას:

„რასაც, რომ ვასცემს შენი მარჯვენა, არ ატყობინებ იმას მარცხენას! ნებას არ აძლევ, რომ წააცდინოს, შეკავებულსა სიმდაბლით, ენას.

მარა, უნდა ვთქვათ, არ არი ძნელი, რომ შეასრულო შენც შენი ვალი: რათგანაც შენთვის ბედს მოუციო თანამოაზრეთ ქართველი ქალი.

ზოგჯერ ის შენაც არ გატყობინებს, ისე გამოდის ქველის მოქმედათ, გაჭირვებულის მოწმნარებელათ, ქვრივების დათ და ობოლების დედათ.

დიდი ხანია, ერთად ეწვეით სიამტკბილობას და შეუღლებას? მართლა, რომ ესეც საკვირველია! — დღეს ვინდა დასდევს ცოლ ქმრის უფლებას?

კუდი დრო დადგა... ცხოვრება წახდა! ათასში ერთი, თუ ინეტარებს! მარა გულ-წრფელათ, ისე, როგორც შენ, ის შეათასეთაც ვერ გაიხარებს.

განგებამ მოგცათ სუყოლიფერი! ნუ სწუხართ იმას, რომ ხართ უშვილო; ნუ თუ არ კნარა შევილათ და ძირათ თქვენთვის სამშობლო და საქართველო.

იცოცხლეთ დიდხანს! იმხიარულეთ! ბედნიერი ხართ ორთავ ცოლ-ქმარი!.. ამას გულწრფელათ ვამბობ მგოსანი და ამასვე ჟღერს ეს ჩემი ქნარი\*).

1905 წ. 3 აპრილს.

აკაკი.

\* ქუთ. ქალაქის მოურავის ამ საყურათდებო სიტყვას, უადგილობისა გამო, აქ ვერა ვსტამბავთ. რედ.

\*) ეს ლექსი გაზ, „საქართველოს“ რედაქციას გადმოცა პატივცემულმა მანდილოსანმა — ანასტასია მაჩაბლისამ. თვით აკაკის ეს ლექსი წაუკითხავს სარაჯიშვილის სახლის კურთხევის დღეს.



## ანდერძი.

ეკატორინე ივანეს ასულის სარჯაშვილისა (მიეცეს: 1) დიდუბის ეკლესიას 10.000 მან. 2) ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიას 2.000 მან. 3) დარჩის მონასტერს, ავლაბარში 500 მან. 5) დილომის წმ. გიორგის ეკლესიას 1.000 მან. 5) „ღვთის მშობლის“ ეკლესიას 500 მან. 6) კალოუბნის ეკლესიას თფილისში 1.000 მან. 7) სიონის ეკლესიას 1.000 მან. 8) მცხეთის ეკლესიას 1.000 მან. 9) მარტყოფის ეკლესიას 500 მან. 10) „წმ. ანტონის“ ეკლესიას 500 მან. 11) დიდი ლილოს ეკლესიას 500 მან, 13 წმ. სამების ეკლესიას თფილისში 500 მან. 13) მთაწმიდის (მამა დავითის) ეკლესიას 500 მან. 14) სომეხთა წმ. სტეფანეს მონასტერს 500 მან. 15) „განათლების“ საზოგადოებას მისის და მისი მეუღლის, დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე, ქალთა პროფესიონალ სკოლის დასაარსებლათ და შესანახათ, ავლაბარში 50.000 მან. 16) მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას 10.000 მან. 17) ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას 5.000 მან. 18) რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა მეღვინეობის სადგურს, ადესაში 5.000 მან. 19) კავკასის ქართულ სკოლას 10.000 მან. 20) თფილისში მომავალ პოლიტექნიკუმს (ან სხვა, რომელი უმაღლესი სასწავლებელიც იქნება) ფიზიკურ კაბინეთის მოსაწყობათ 50.000 მან. 21) მცხეთის სამთავისის დედათა მონასტერს, სკოლის საჭიროებისთვის 5.000 მან, 22) ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას თვისი საჭიროებათა გასაძღოლათ 25.000 მან. 23) ქალაქ ქუთაისის საქალაქო თეატრის ასაგებათ 150.000 მან. 24) ქალაქ კავკასის დარბ მოსწავლეეთა სწავლის ფულის გასასტუმრებლათ, ეროვნების განურჩევლათ, 30.000 მან. 25) ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 25.000 მან. 26) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სამოსწავლო წიგნების გამოსაცემათ და სკოლებისთვის, უმთავრესათ, პროფესიონალ სკოლების დასაარსებლათ და,

შესანახათ 100.000 მან. 27) სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას პრემიების დასანიშნათ მისის და განსვენებულ მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე საუკეთესო ბელეტრისტულ ნაწარმოებისთვის 20.000 მან. 28) ქართულ დრამატულ საზოგადოებას 100.000 მან, 29) მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენს 10.000 მან. 30) ქალაქ თფილისის სადოსტაქრო საავთმყოფოსთვის შენობის ასაგებათ მისის და განსვენებულ, მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე 200.000 მან. სულ 814.500 მან.

ეს ფულები, დანიშნულებისამებ, თანდათან მიეცემათ, შემდეგ, არა უგვიანეს 2 წლისა.

ამ ქონების გარდა, განსვენებულმა დატოვა ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებანი, რომელსაც ახლა დაახლოვებით აფასებენ ორ მილიონათ.

ფირმის და ამ დაწესებულებათა განაღდება მოხდება არა უგვიანეს ექვსი წლისა და, რაც კაპიტალი შედგება, უნდა გაუნაწილდეს წ.კითხვის საზოგადოების, თფილისის დრამატულ საზოგადოებას და ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

ამ ანდერძის ამსრულებლათ დანიშნული არიან: ძმა განსვენებულისა-ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი, დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილი, ალექსანდრე თევდორეს ძე სარაჯიშვილი, მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი-და თ-დი გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი.

## † კლადიმერ ალექ. სტაროსელსკი.

პარიზში გარდაიცვალა ჩვენში კარგათ ცნობილი აგრანომი და გუბერნატორათ ნამყოფი ვლად. ალექ. სტაროსელსკი.

1890 წ., როცა სოფელ ალისუბანში პირველათ ფილოქსერა ამოაჩინეს, მაშინვე თბილისში დაარსდა კავკასიის საფილექსერო კამიტეტი, რომელმაც ორი დასი დააწესა



იმერეთში სამუშაოთ. პირველს დასს ხელმძღვანელობდა აგრანომი ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი (შემდეგ, ბათუმის ქალაქის მოურავი), მეორეს-კი—აგრანომი ვლად. ალექ. სტაროსელსკი.

პირველათ, ვლად. ალექ. სწორეთ ამავე წელს, მაისში, ვნახე ალისუბნის ცნობილი მემამულის—ნიკო ჩიკვაიძის ვენახში, სადაც მან თვალწინ ვაღამეცნო ფილოქსერა.

ორ კვირას დავრჩი ალისუბანში მასთან. ვლადიმერი ჩვენთან იყო მუდამ, ჩვენთან მუშაობდა, ჩვენთან სადილობდა, ჩვენთან იწვა ნიკოს შვენვირათ მორთულ სახლში. საქმის დიდი ერთგული კაცი იყო. თვით მასპინძელი ნიკოც შესანიშნავი ენერჯის პატრონი იყო. ტანჩია, პატარა ტანის ადამიანი, თვისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით მთელ იმდენ ყმაწვილ—კაცობას მუდამ მხიარულ გუნებაზე გვაყენებდა.

ვლადიმერ ალექ. მაშინ იყო წმინდა წყლის „ნაროდნიკი“.

ბევრი ახლანდელი მოღვაწე, როგორც მაგალითად, სტ. ნ. ტიმოფეევი, არტემ სტ. ფირალოვი, ძმა ვლადიმერისა იულიც „რასლელოვტლათ“ იყო. სხვებიც იყვენ მოსკ. პეტროვის სამეურნო აკადემიაში კურს დასრულებულები. ნასადილევს ლ ნავახშმევს ცხოველი ბაასი ატყდებოდა ხოლმე რუსეთის ცხოვრების ბევრ „დაწყველილ“ საკითხებზე...

ვლადიმერი თუმცა „ნაროდნიკი“ იყო, მარა იგი ჩვენებურ „ნაროდს“, ე. ი, ქართველ ხალხს მაინც და მაინც კაი თვალთ არ უყურებდა და სულ უბრალო უსიამოვნებისა გამო, ქუთაისის მაშინდელ გუბერნატორს დეპეშებს უგზავნიდა და ადმინისტრაციულ დახმარებას თხოვდა...

მარა გავიდა დრო... ვლადიმერის მოღვაწეობა უფრო გაფართოვდა. მარტო მისი მეოხებით და ინიციატივით გაშენდა საქარის და ქორეის უბნის სანერგე, მან შეიტანა ფილოქსერისგან დაზარალებულ ხალხში ამერიკულ მწარე ვაზის ნერგებზე ჩვენებური ჯიშების დამყნა და ჩვენი ნიკიერი მშრომელი ხალხი უფრო დაი-ახლოვა და გაიცნო.

ამ დროს-კი ვლადიმერი ჩვენ ხალხს აღტაცებაში მოყავდა, ძველი კოლხიდის მშრომელი ხალხი მან გულით შეიყვარა და ყოველ სადღეგდელს დროს „за процвѣтаніе ріонской долины и ея доровитыхъ сыновъ—имеретиниъ“ სვამდა ცოლიკოურს...

1905 წ., როცა, ასე წოდებული, გამათავისუფლებელი მოძრაობა ძალიან გაძლიერდა, რუსეთის ბიუროკრატია მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობას აძლევდა ისეთ პირებს, რომელთაც ხალხის ნდობა ქონდათ მოპოვებული.

სწორეთ ასეთ პიროვნებათ ჩვენში იყო ვლად. ალექ. და ვარანცოვ-დაშკოვმა ერთ შვენვიერ დღეს იგი ქუთაისის გუბერნატორათ დანიშნა. ამით მაშინდელ მეფის მოადგილეს უნდოდა მოძრაობა დაესუსტებია. მარა ეს არ მოხდა ასე. ვლად. ალექ. ხალხის ნდობა დაიმსახურა. ხალხმა მაინც თვისი გზით განაგძო სიარული...

მაღე საშინელი რეაქცია ჩვენ ხალხს თავზე დაატყდა. „ნდობით“ აღჭურვილ პირთა ადგილი ალიხანოვებისანა გენერლებმა დაიჭირა... რკინისგზის ერთ-ერთ სადგურზე

ალიხანოვმა ქუთაისის გუბერნატორი დაატუსაღა და თფილისს გაგზავნა.

აი, ამ დღიდან იწყება ვლადიმერ სტაროსელსკის ცხოვრების ნამდვილი ტრაგედია.

აქამდი ვლად. სტაროსელსკის იცნობდენ, როგორც ენერჯიულ აგრანომს, დიდათ გამოცთილ მეურნეს და, მერე, როგორც „კეთილ გუბერნატორს“.



შემდეგ, რეაქცია თანდათან გაძლიერდა. მუშათა ორგანიზაციები ზოგან ძლიერ დასუსტდა და ზოგან სულ დაიფუშა. ამის შემდეგ, სტაროსელსკიც იძულებული შეაქნა რუსეთი დაეტოვებია და უცხოეთისთვის შეეფარებია თავი. უკანასკნელ დროს, იგი პარიზში ცხოვრობდა; იქ ფოტოგრაფიაში მუშაობდა და ისე ირჩენდა თავს. მოხუცებულს ლუკმა პურისთვის ზრუნვა მეტათ მძიმე დაღს აჩენდა. მარა, მიუხედავად ამისა, იგი გულს არ იტენდა და მომავალს იმედებით შეყურებდა. იგი ამ რწმენით ჩავიდა საფლავშიც.

### გამოცანა.

(ჭიათურისთვის).

წინათ ყოფილი მწარმოებელი,  
ქვის წარმოებით მოითფო ხელი.  
„ნასათიბარში“ მალარო ქონდა,  
(ამასწინაზეც წამოაგონდა).  
„ხაზენობით“ მოქონდა თავი,  
მუშებს მრავალ მხრივ გააძრო ტყავი.  
მარა იცვალა საწუთროვება,  
(ვის შერჩენია ერთი დროება?..)  
ცხრაას ხუთი წლის, რო დადგა ხანა,—  
იმასაც „წირვა გამოუყვანა“...  
ახლა რო კითხოთ, სხვათ მოაქვს თავი,  
(სხვა გზა მოძებნა გამოსახრავი...)  
და ზოგჯერ იმ ზომ გაიბერება,—  
კრილოვის „ბაყაყს“ შეეფერება...  
ქეც... „პუბლიცისტობს“(სახელს ატარებს)  
მასთან აქანქვრას არ დაიზარებს...  
დემოგოგიცა ზომიანე მეტი,

პროვაცაციის წყარო უწრეთი.

ცილსაც დაგწამებს\*), არ უნდა კითხვა,  
უყვარს ინტრიგა, მართალთ გაკიცხვა;  
ბოროტ-ავსულებს მხარსაც დაუჭერს,  
(ამათში მტერიც ხუთებს დაუწერს).

„არტელის“ მუშებს, ერთ ხანსაც მტრობდა,  
როგორც ჩანს, ბოლოს არა ხუმრობდა...

ამათთან ხშირათ ანთხევდა ქორებს,  
(ამ მხრივ „კუზინან“, ვინ გაასწორებს?).

პროვაცაციის მოხდენაც ცადა,  
„გამთიშველთ“(?! ) ომი გამოუცხადა;

მარა მიუხედედნ, თუ, რათ დაჭირდა,  
მით საქმეც ველარ მოკვარახჭინდა... —

რაც აზრათ ქონდა,— შეექნა ფუჭი,  
თურმე, იმისთვის ეწოდა კუჭი,

რასაც „ებძოდა“(?!), იგი ვითომდა,  
(აქ წყალს ამღვრევდა, იმედიც ქონდა)...

მარა გაფრინდა სატრფო საგანი,  
კოვხსაც ნაცარში მოხდა ტყაპანი...

ამ ჟამათ მისი „ღვაწლი“, გონება,  
არც მარტო ამით გაიზომება;—

მაინც ვიკმაროთ... არ არი ღირსი,  
ასეთ უვიცზე, არც საკადრისი,

რომ ამოდენა დავკარგოთ ჟამი,  
(„დრო ფულიაო“—არი ნათქვამი).

ვინც თვალს არ ხუჭავს, ეშმაკურ ზრახვით—  
ნურც ჯილდოს ითხოვს პრემიის სახით.

მსჯელობის საგანს, ისეც მიხვდები,  
არ უნდა ფიქრი, არც შეკითხვები.

მხოლოთ უფთხილდი იმასთან კავშირს,—  
თორე ვერ ასცდე ხიფათსა და ჭირს...

ახ. მ—ლი.

### ორი თვის ჯამაკირი.

ქალაქ ნ—სის ქუჩებზე ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. მასწავლებლები, მოსწავლეები, ვაჭრები და მოხელეები, თითქმის სირბილით მიდიოდნ თავიანთ საქმეებზე და ნაცნობთ

\*) ამაში იმ ზომ არი თავხედი,—  
მონიძევედაც ცადა თვის ბედი...  
მარა გაწკებლეს, ბოროტი გვამი,  
ეშმაკმაც გაკრა, (თვით აქვს ნათქვამი).



სიჩქარით აძლევდნენ სალამს. სამრევლო შკოლის მასწავლებელი ივანე პეტრეს ძე ქინქლაძე-კინელა მიაბიჯებდა ქვაფენილზე და გამვლელ-გამომვლელთ დაკვირვებით ათვალიერებდა. „კარგია, ჩემო ძმაო, ქალაქი—ამბობდა თვისს გულში ივანე პეტრეს ძე—შეხედავ ლამაზათ გამოწყობილ ქალებს და გული გაგინათდება; დაუგდებ ყურს ვინმე გამვლელის ლაპარაკს და გავითარდები კაცი. აბა, ჩემო ძმაო, ყრუ სოფელს, რო მიაჩერდე, ხო თლად გამოლენჩ დები.“

ერთი რამ ახირებული ჩვეულება ქონდა მასწავლებელს: ლაპარაკში ყოველთვის გამოურეცდა ხოლმე; „ჩემო ძმაო.“ ეს ჩვეულება იმდენათ შეესისხორცა მას, რო მარტო რომ იყო თავის თავს ამ სიტყვებით მიმართავდა.

ივანე პეტრესძე ქინქლაძე იყო ოცდა ორი წლის ახალგაზდა. მაღალი, მხრებთან ოდნავ მოხრილი, ფერმკრთალი, ხოლო ცხვირთან ამხელა მეჭექი ქონდა, რო მთელ მის სახეს რალაც უშნო და ულახათო გამომეტყველებას აძლევდა. ამბობდნენ, ამ მეჭექამ ერთხელ კინალამ დაღუპა მასწავლებელიო: სკოლის გამგე ღვდელმა მთავრობასთან თხოვნა შეიტანა, მომაცილეთ მასწავლებელი, თორე ისეთი უშნო შეხედულობა აქვს, რო ბავშვები დამიფთხო და სკოლაში არ მეკარებიანო...

მასწავლებელს ეცვა ფოლაქებით გაბჭყიალებული „ტუფურკა“ და ახალი შარვალი, რომლის ტოტებიც ჩატანებული ქონდა სავაქსავ ჩექმების ყელებში. ჩექმების ზედა პირი, ისე იყო აბზუკულ-ჩაბზუკული, რო ზედ გეოგრაფიის ვაკვეთილის ახსნაც შეიძლებოდა, მაგ. მაღლობების, დაბლობების და მთების შესახებ. ფორმის ცოტათი შეძველებულ ქუდზე ორი დიდი კაკარდა ქონდა მიკრული. ერთ მათგანს, როგორც ეტყობოდა, მისამაგრებელი ფეხი მოტეხოდა და პატრონის მზრუნველ ხელს იგი შავი ძაფით მიეკრებია. ასანიშნავია მისი გულტაპერჩის საყელოც; ხმარებისგან მეტათ გაწითლებული. საყელოზე გაკეთებული ქონდა აქრელებული გალსტუკი. უცნაური რამ იყო ეს გალსტუკი. რამდენსაც არა ცთილობდა

ივანე პეტრესძე, იგი თავის ადგილას დაემაგრებია, მაინც პატრონის უნებურათ აცოცდებოდა და საყელოს ზედა-პირზე მოექცეოდა ხოლმე. პირველ შეხედვისას, ისეთ ჩაბეჭდილებას მიიღებდით, რომ ეს კაცი უთუოდ, დიდი დამნაშავეა და მისთვის ბაწრით დახჩობა გადაუწყვეტიათო.

მერე და მაინც ყოფილიყო ასეთი? ის-კი არა, ისეთი წყნარი კაცი იყო, დარაჯს, ან სამხედრო პირს, რო დანახავდა, ერთ საჯენზე მოშორდებოდა: „სიფთხილეს თავი არ ტკივა, ჩემო ძმაო! მტაცოს ხელი და პოლიციაში წამათრიოს, მერე? ვინ მიშველის?...“ ამბობდა ხოლმე ამ შემთხვევაში მასწავლებელი. ახლაც მიდიოდა წყნრათ. უნდოდა ხელ-ფეხი, ისე წაეღო, არავისთვის არ მიეკარებია და დავიდარაბაში არ გაბმულიყო.

მას ჯიბეში ედო დღეს აღებული ორი თვის ჯამაგირი: ხუთი წითელი ქალაღლის თუმნიანები. აქამდის ის უჯამაგიროთ მსახურობდა. ეს იყო პირველი მისი ჯამაგირი და საუცხოოთ გძნობდა თავს. რამდენჯერმე ამოიღო საყიდლების სია და დაკვირვებით გადაათვალიერა. პირველათ უნდა ეყიდა საზამთრო პალტო. მერე, ქალიშვილებთან ბანქოს თამაშში წაგებული ორი ცხვირსახოცი და ერთი პირსაბანი საპონი. ამასთანვე დიასახლისმა თავშალიც დააბარა და ფულს შეძდგე მოგცემო. მარა ამის ყიდვა, ცოტა არ იყოს, არ ასიამოვნებდა. „ეს, ჩემო ძმაო, იმას გონია ამ ფულებს მე ვჭედავდე. უყიდე თავშალი! რა ვიცე, მომცემს, მერე, ფულს, თუ არა. რომ არ მომცეს? იქნებ მითხრას: სახსოვრათ დარჩესო. არა, ჩემო ძმაო, ვეტყვი, ვერ ამოვარჩიე-თქო და მორჩა, გათავდა,—ამბობდა თავის გულში მასწავლებელი და ტანისამოსების ერთი მაღაზიის წინ გაჩერდა. იყო ასე გაჩერებული ცოტა ხანს და თავის თავს რამდენჯერმე დაეკითხა: შევიდე, თუ არაო. ბოლოს, როგორც იქნა, შევიდა მაღაზიაში და მორიდებით მივიდა მაღაზიის დაზგასთან. აუარებელი ხალხი ირეოდა: ნოქრები ხან ერთ მყიდველთან მიდიოდნენ, ხან მეორესთან; ბოლოს, ერთი მათგანი მასწავლებელსაც შეეკითხა: —თქვენ რა გნებაეთ?



— მე?.. მე მინდა იგი... ჩემო ძმაო... პალტო, ცოტა დაბნეულათ უთხრა მან და სახე ისე დაემანჭა, თითქო ძნელ ამოცანას იყვანსო.

— პალტო? ემ საათში! — სწრაფათ წამოიძახა ნოქარმა და საჩქაროთ რამდენიმე პალტო გადმოაღაგა.

— აი, ეს უკანასკნელი მოდაა... დღესაც წაიღეს რამდენიმე ცალა. აბა, გაიშინჯეთ: ივანე პეტრესძემ ჩაიცვა პალტო და დიდი სარკის წინ რამდენჯერმე მიტრიალ-მოტრიალდა. მოეწონა შეკერილობა, მხოლოთ ფერს დასდო ცოტა წუნი. „მკვდარივით მაჩენს“, გაიფიქრა მან.

— აბა, კიდევ უკეთესი მომიტანეთ! მიუტანეს სხვებიც. ერთი ძალიან მოეწონა და ფასზეც შეევაჭრა.

— წინათ რო გაშინჯეთ, იმას ოც მანათად მოგართმევთ, ეგ-კი ოცლა ათი მანათი ეღირება!

— ოცლა ათი მანათი? რას ამბობ, ჩემო ძმაო... ოცლა ათი მანათი?—გაშტერებით ჩაილაპარაკა მან—ეს ნამეტანი ძვირია! თუთხმეტ მანათად არ იქნება?

— თუთხმეტათ? აღმაცერათ დაეკითხა ნოქარი. დააცქერდა ზევით აწეულ გალსტუქს და გაეღიმა—არ იქნება! არა!.. ტანისამოსს ისევე დალაგება დაუწყო.

— კარგი, თვრამეტათ იყოს, ახლა! დაუკელი! სულ მუდამ თქვენთან ვიყიდი აწი.

— ოცლა ათ მანათს გროში არ მოაკლდება. „ოცლაათ მანათს... ოცლაათ მანათს“ ბუტბუტებდა მასწავლებელი და გარეთ გამოვიდა. „შენ, ჩემო ძმაო, ოცლაათი მანათი ლილახანა გგონია!—ფიქრობს თავისთვის ივანე პეტრესძე და ქვაფენილზე ნელა მიაბიჯებს. ის-კი არ იცი, ერთი ხბოიანი ძროხის ფასია. არა, კარგი—კი იყო ის სატიალო! მოდი—ვიყიდი?“—აქ გაჩერდა მასწავლებელი. ვთქვათ, ვიყიდე-განაგძობს ის ფიქრს-მერე, დამრჩება ოცი მანათი. ხუთი მანათი ხარჯათ მინდა, დანარჩენიც დიასახლისს უნდა მივცე. არა დავანებებ. ჩემო ძმაო, ისევე თავს, ხელი ჩაიქნია და გზას გაუდგა.

გაიარა რამდენიმე მანძილი და ისევე შეჩერდა.

„რაც იქნეს, იქნეს! მოდი, ვიყიდი, ჰა! რას იტყვი, ჩემო ძმაო? თითქოს ვილაცას დაეკითხა და წამოვიდა უკან, იმ გადაწყვეტილებით, რომ, უეჭველათ, ვყიდა. ამ დროს მისთვის გარემომო არ არსებობდა არაფერი, გარდა იმ ყავისფერ პალტოსი, რომელიც მალე მისი საკუთრება შეიქნებოდა. ხალხი ქუჩებზე ჩვეულებრივათ მიდი-მოდიოდა. მერე რა? აქცევდა განა ამას ყურათღებას ივანე პეტრესძე? სრულებითაც არა... ძნელია, როცა ადამიანის გონებას მარტო ერთი აზრი შებოჭავს და დაიმონებს.“

მაღაზიის კარებთან, რო მივიდა, გაშტერდა. „არა, რა მიმაჩქარებს, ჩემო ძმაო, გაიფიქრა მან. არა ჯობია, ისევე ავწონ-დავწონო ეს საქმე და ხვალ ვიყიდი? ხვალაც აქ არ ვიქნები? უბრალო საქმე ხომ არ არი სამი თუმანი?“

რასაკვირველია, უბრალო საქმე არ არის—ეუბნებოდა რალაცა იდუმალი ხმა და ადასტურებდა მის ფიქრებს.

ამ ნაირ სულიერ ბძოლას განიცდიდა იგი და, მართალი უნდა ვთქვა, კიდევც დაიღალა. ისე მოიქანცა, თითქო ხეები ეჭრას, ან მთელი დღის განმავლობაში ეთოხნოს. შემობრუნდა და ისევე გზას გაუდგა.

— ფეხი გავიწმინდოთ, ბატონოო—მიძახოდა მასწავლებელს ისრაელის ბიჭი და თავის კოლოფსა და ჩოთქს მიაბრახუნებდა.

— მობძანდით, მობძანდით-გამოძახოდენ ხოლმე მოვაჭრეები. მარა მასწავლებელი ამაებს სრულებით ყურსაც არ უგდებდა და, აი, მეათასჯერ ეკითხებოდა ვილაცას: „ვიყიდი, ჩემო ძმაო, ის პალტო ხვალ, თუ არა?“

კიდევ დაღამდა... და ფიქრებში გართული მივიდა ერთ სამიკიტნოში. იკითხა ბინა, თუ გექნებათ, ღამე, რო გავათიოო და, როდესაც ბინა აღმოჩნდა, მოიცადა. მორიდებით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. უხეშათ მოკიდა ხელი ბუზების გასარეკ საქონლის კუდს და თვალთვრება დაუწყო. შემდეგ, საქმელების ყუთთან მივიდა... საცოდავათ დაეკრიჭა კბილები გოქს, რომლის მარტოცა თავი იყო ლამბაქზე. იქით თევშზე-კი ნახევარი მოხარჩული ქათამი იყო. ორი სულგუნის ყველი ობლათ გამოიყურებო-



და. მიკიტანს იგი ყუთის კედლებზე მიეყუდებოდა.

— რა და რა გაქვთ, მემო ძმაო, ცხელი შექამადი? შეეკითხა მასწავლებელი.

— რას ინებებთ? ხარჩო, სოუსი, კატლეტი. კარქი სული და კარქი გული—თითქო ხუმრობით დაათავა მსუქანმა მიკიტანმა და ხელები იქით-აქით გააფინა.

— მომიტანე კატლეტი და პური.

— ღვინოსაც ხო მიირთმევთ?

— არა! ერთი ბოთლი ზელტერსკის წყალი მომიტანე.

— ზელტერსკი?-ცოტა ირონით წარმოთქვა მიკიტანმა და ისე შეხვდა, თითქო ეუბნებოდა: აი, ავიშენდა ოჯახი, შენისანა მუსტარი რა-იმე ხეირი იყოსო. „ორი შაური კატლეტი, ერთი შაური პური, ერთი შაურის ზელტერსკის წყალი და ორი კაპიკის პური, რომ მივამატო კიდევ, სულ იქნება: 10+5=15, 15+5=20 და еще 2 коп. სულ 22 коп. ფიქრობდა მასწავლებელი და ნელა დასეირნობდა სამიკიტნოში—მარა, აი, კატლეტი, რომ ვუთხარი, კატლეტს ხარჩო არ ჯობია?

— გამიგონე, ჩემო ძმაო, ხმა მალლა დაუძახა მან მიკიტანს— კატლეტი არ გითხარი? არ მინდა! ხარჩო გამიკეთე, ხარჩო!...

— ხარჩო? გულ-მოსულათ დაეკითხა მიკიტანი.

— ჰო! მარა იყოს! თუ გინდა კატლეტი! კარქი იყოს!...

ივანშმა... თეფშები გასწია ცოტათი და ჯიბიდან ქალღი ამოიღო. პროექტორის განცხადება იყო იგი. წელან ვილაც ბიჭმა მისცა ქუჩაში.

ყველგან ფულის მახეს აგებენ. აი, იქნებ წამოვიდეს ფული, მახე ვეღარ შეამჩნიოს და შიგ კისრით გაეხასო... არა, ჩემო ძმაო, ჩემი ფული პატრონივით ქკუიანია, შეხედე, როგორ წყნარათ ზის ჯიბეში!—ეს ფიქრები, ისე პოეტურათ მოეჩვენა მას, რომ სიამოვნებით გაეღიმა და სრულიათ არ შეეუშინებია ახალგაზდა კაცი, რომელიც მეორე მაგიდასთან იჯდა და დაკვირვებით უცქეროდა ივანე პეტრესძეს.

— „კი, მარა ჯობია ფულის დათვლიერება. ვნახავ, თუ ისე ხუთი წითლიანებია.“

— მიატოვა განცხადების კითხვა, ზეზე წამოდგა და დერეფანში გავიდა. ბნელოდა. მხოლოდ ერთ კუთხეში მკრთალად ანათებდა პატარა ლამპარი. მასწავლებელი ფეხაკრებით მივიდა ლამპართან. ფთხილათ გაიხედ-გამოიხედა; ამოიღო უბიდან შეხვეული ქალღი და გაშლა დაუწყყო. უცეფ, მას ფეხის ხმა მოესმა. შეკრთა. შეკეცილი ქალღი ჯიბისკენ წაიღო და იქით-აქით მიაველ-მოაველო თვალი. რაკი ვერავინ შეამჩნია, ისევე ამოიღო, გაშალა და თვლა დაუწყყო. დათვალა ორჯელ და დარწმუნებულმა, რომ სწორეთ ხუთი თუმანი იყო, გამოხვია ქალღიდებში და ჯიბეში შეინახა.

მოაწია დაწოლის დრომაც. მასწავლებელი შეიყვანეს ერთ პატარა ოთახში, სადაც ოთხი გაწყობილი ლოგინი იდგა. ის დაწვა და, რაკი დაღალული იყო, მალე დაეძინა. საუცხოო სიზმრებს ხედავდა: აი, პალტოც იყიდა და გამოაწყობილი ჩავიდა სოფელში. მოწაფეები გაკვირვებით უცქერიან. ქალიშვილები ქალღიდში წანაგებ სანაძლეოს თხოვენ და ეშხიანათ თვალებს ნაბავენ. მას ყველა პატივსცემს. ღვდელიც ახლა უფრო მორიდებულათაა: ეტყობა, აზრათა აქვს ქალიშვილის მითხოვება...

დილის 8 საათი იყო, რომ გამოეღვიძა და ოთახს თვალი მოაველო. ორი ვილაც სუქანი კაცი საშინლათ ხვრინავდა და იქაურობას აყრუებდა. ერთი ლოგინი-კი ანგრეული იყო. ეტყობოდა, ღამით ვილაც იწვა და აღრიანა მიეტოვებია იქაურობა.

„როგორ პარავოზით არხენათ ხვრინავენ ეს ოჯახ-აშენებულები“—გაიფიქრა მასწავლებელმა, გაიხმორა და ტანთიაცმა დაიწყო. ჩაიცვა ტანზე და ბალიშის ქვეშ ხელი შეეყო, სადაც დაწოლის წინ ფული შეინახა. მიუსმოუსვა ხელი, მარა არაფერი შეხვდა. გადმოაბრუნა ბალიში, სადღაა ფული? იტაცა ჯიბეებზე ხელი, სად მოიძევება? „აი, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მანახე სადმე“—აკანკალებული ხმით ლაპარაკობდა იგი. ლოგინი მიანგრ-მოანგრია, ქვეშაც შეიხედა, ჯიბეები გადმოიბ-



რუნა. სადაა? „ვაი, ჩემო თავო, წაუღიათ!—წამოიძახა მან და იმნაირათ მიიჩრტა თავზე ხელი, რო შუბლი ერთიანა გაუწითლდა, სწრაფათ მიიბრინა მიკიტანთან და ქლოშინით უთხრა:

— ჩემო ძმაო, იგი... აქ ქურდები გყავს?...

— რას ლაპარაკოფთ?

— რასა და იგი... ჩემო ძმაო, ხუთი თუმანი მომპარეს—წამოიძახა მან და თვალთავან, როგორც ხშირი წვიმა, ისე წამოუვიდა მღულარება...

— ხუთი თუმანი? არ ვიცი, ჩემმა მზემ, ვინ მოიპარავდა. მე თითონ იმ ოთახში ვიწვევი... არავინ ისეთი არ მყოლია. აი, დასწყევლოს ღმერთმა ავიკაცი! იქნებ, აქ არ დაგპარგვია...

— აქ დამეკარგა... აქ... ვაიმე, დედა! რა უნდა ვქნა აწი...—ზლოქუენით ლაპარაკობდა მასწავლებელი. საშინელი იყო ეს სცენა... მარა ამ კაცის ტირილი იმდენათ არა ჩვეულებრივი იყო... იმდენათ მოგაგონებდა ბავშვის ტირილს, რომ მიკიტანი იღიმებოდა და გადახარხარებდას ცოტა უკლდა...

პატარა ხნის შემდეგ, მასწავლებელმა გული დაიმშვიდა და გარეთ გამოვიდა. ჩვეულებრივათ მიდიოდა ხალხი. მისრიალობდა რეზინის შინებიანი ეტლები. ახალგაზდა ვაჟებს უდარდელის ღიმილით ეკობწიაებოდნენ ქალიშვილები. ყველას სახეზე უდარდელობა ეხატებოდა და ამდენ ხალხში არავინ არ ფიქრობდა, თუ რაოდენ ტანჯვას განიცდიდა იმათვე გვერდში მიმავალი სამრვლო სკოლის მასწავლებელი—ივანე პეტრესძე ქინქლაძე.

„ვთქვათ, განუცხადე ეს ამბავი პოლიციას. მერე, რა გამოვიდა? უნდა იხეტიალო ბოქაულთან... უნდა ელაპარაკო რუსულათ... უნდა აუხსნა ყველაფერი. ვაცდევინებს ხვალემდი და ვერაფერსაც ვერ ნახავს. აბა, რო-

მელი ქურდი გეტყვის, მე მოვიპარეო. არა! არაფერი არ იქნება. მარა, მოდი, ბედს ვცდი, მივალ მაინც—ასე ფიქრობდა მასწავლებელი და ბოქაულის კანცელარიისკენ გასწია...

გაიარა შვა გზა და წარმოიდგინა, რომ ის ბოქაულის წინ უნდა დადგეს და ყველაფერი აუხსნას.

— არა, ჩემო ძმაო, არაფერი არ იქნება. შეიძლება, კიდევ მე გამამტყუნონ: ტყუილს იგონებო. ხო შეიძლება? აქ ის შეჩერდა და განცხადების გასაკრავ სვეტს მიეყუდა.

„ხო შეიძლება? ხო შეიძლება?—ეკითხება ის თავის თავს.

„შეიძლება, რასაკვირველია, შეიძლება—ეუბნებოდა რაღაც ხმა. იგი მოტრიალდა და უკანვე წამოვიდა.

შვა დღე გადასულია. მზე საშინლათ აცხუნებს და სულის თქმას უხუთავს სულდგმულთ. სოფლის პატარა მდინარეში ჩაყრილან კამეჩები და ნელა იცოხნებიან. ეზოებში, ხეების ჩდილ ქვეშ, მოსახლეებს გაუშლიათ ფარდაგები და წამოწოლილან... ხეების ფოთლები საცოდავათ მოკრუნჩხულან... ჩიტების ხმა არსაიდან არ ისმის...

ამ დროს, შარა გზაზე ჩქარი ნაბიჯით მიაბიჯებს ერთი მგზავრი. ჩექმები მტვერით აქვს შეფარული. შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოდის. ხანდახან გაჩერდება, იფიქრებს, იფიქრებს და თვალები ცრემლებით ავესება. „ვაიმე, ჩემო თავო! ვაი, ვაი! რა მეშველება, მე საცოდავს,“ ხმა მალლა წამოიძახებს იგი და ისე ამოიგმინებს, რომ აღამიანს ეგონება, გულიც თან ამოატანაო.

ხომ იკანით! ეს ივანე პეტრესძე ქინქლაძეა, რომელმაც, მატარებლის ფულის უქონლობის გამო, ოცი ვერსი ფეხით უნდა გაიაროს.

აბესალომ ტაბიძე.

## ჭ ა ნ . გ ე ბ ი

I

ვაზაფხულის ტკბილი ჰიმნი საოცნებო ვარდებს კრეფდა და ნიავე წყნარი, ნაზი, ტყე, ბაღებში ფოთლებს კბენდა: ნაკადული მოკასკასე ხტოდა ბროლის შადრევანათ.



ფრინველთ ნაზი ჟრიაბული გაისმოდა ღვთიურ ნანათ...  
 ისე იყო შემოხედვა მოხასხასე პიტალო მთის,  
 როგორც დილით მონატყორცნი ოქროვანი სხივები მზის.  
 ისე, ისე თამაშობდა, ირხეოდა შორს მთიები,  
 როგორც ბინდით მოცახცახე დარცხვენილი ტირიფები.  
 ორიზონტი მოლაჟღაჟე, ორიზონტი გამქვირვალე,  
 ისე წვავდა, ანათებდა, რო ვერსად ვერ დავექალე.  
 ციურ არსთა გალობის ხმა ეშვებოდა ნაზ-ნარნართ.  
 და ფურჩული ყვავილების, გულს ხედებოდა იავ-ნანათ.  
 გამწვანებულ ტყის უბეში ოქროს ჩანგით ვილაც მღერდა...  
 ის სიყვარულს ეძახოდა და საქებარ ლექსებს წერდა,  
 იმისი ხმა იყო მწველი, იყო ტკბილი, საამური.  
 იმას ხელში თარი ეპყრა, ხან ნამსხრევი სალამური,  
 და ისმოდა იმისი ხმა, უდარდელი ზღვიდან ზღვამდი.  
 და ლეგენდა თრთოდა, რბოდა-ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდი...  
 მე—კი, ამ, დროს მაშვრალთ უბნებს დავდიოდი მწარე სევდით,  
 სადაც ჩემი მეგობრები მიჯაჭულნი იყვენ ბედით.  
 შავ ცხოვრების შავს ტალღებში, გძნობა ჩემი ცრემლებს ღვრიდა,  
 დათალხული ჩემი ჩანგი მწუხარების ლექსებს ქმნიდა...

## II

სიკეკლუცე, სიხარულში, მე ვერ ვბოვე ჩემი სახე,  
 როცა ჩემი მეგობრები მწარე-შავს ბედში მყოფნი ვნახე.  
 როცა ტანჯულთ მწარე მოთქმა ადიოდა ზღვად ცამდი,  
 როცა მათი ვედრების ხმა გაისმოდა ზღვიდან ზღვამდი.  
 მაშვრალთ მწარე ამოძახილს მეც ჩემი ხმა შევეუერთე  
 და მათი თქმა, შავ-მღელვარი ჩემს გძნობებში გავაღმერთე.  
 მეყო კრემლი, კრემლი მეყო, ამ თვალებმა, რაც დაღვარა,  
 ჩემი სიტყვა თამამია, ჩემი სიტყვა არს შუქარა...  
 დღეს არა ვარ, რაც ვიყავი. დღეს არა ვარ, ის ფერადი,  
 წყევა არი დღეინდელი ჩემი ლოცვა და ღაღადი...  
 ყოფნის კითხვამ ამინთო გულს მწველი ცეცხლი მთის ვულკანის,  
 ჩემ ჰანგებში ამოძრავდენ სიმღერები უკეანის.  
 ფორიაქობს სული ჩემი, მობობოქრე ქარიშხლის ხმით,  
 ჩანგზე კინძავს ბძოლის ლექსებს, გძნობით დაწნილ გველ თილი-  
 სმით...

ჩემი ჰანგი თვითონ არწევს ზღვაზე გმირულ ამოძახილს.  
 ჩემი ჰანგი თვითონ იჭერს ხალხის კვნესას და მის ძახილს.  
 მე მსურს ტანჯვის მედგარი ხმა შეუერთდეს ზესკნელ-ქვესკნელს,  
 მხოლოთ იგი გადალახავს ყოფნის საზღვარს, ბურჟუსს და ბნელს.  
 მსურს და მინდა წყევისა და გმობისა ხმა შევთხზა ერთად,  
 რო ბნელეთის ლეგიონებს მოვევლინო რღვევის ღმერთად.  
 მე მწყურია შავ გრიგალში მოვამწყვდიო სული ჩემი,  
 მოწოდების ბაირალით, რო დიოდეს ჩემი გემი...



შავათ მღვდელვარ გულის სიღრმეს დღეს დემონი აძლევის სალამს,  
ჩემი სული მაღლა ასწევს, კიდევ მაღლა, ბძოლის ალამს  
და, როდესაც ჩვენ მივიტანთ, იმ სამკაულს აღუქმულ კუნძულს.  
იმ დროს შევწყვეტ ბძოლის ჰანგებს, დავასვენებ წამებულ სულს.  
მანამდი-კი, მანამდი-კი მიწას შევძრავ და ზღვას გავწევ,  
მანამდი-კი, მანამდი-კი ბძოლის აფრით თვით ცას დავჭევ.

ნ. ხენობნიელი.

## ქორწილში.

დაჩემებაში ნუ ჩამომართმევთ და ერთ რამეს მოგახსენებთ. ახალ გაზღობაში მე ჩვენ სოფელში ყველასგან მოწონებული და საყვარელი ვიყავ. ამ მოწონებას მითი ვატყობდი, რომ არც ერთი მეზობელი ქირსა და ლხინში არ მიკლებდა, სასოფლო საქმეც მეკითხებოდა და, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო იმ დროს ჩემთვის—ბრალიანი, უბრალო, მახლობელი და შორებელი, ყველანი ბავშვებს მანათვლინებდნენ. მეც, რასაკვირველია, ნათლიობაზე არავის ვარს არ ვეუბნებოდი და ახლა რო ვთქვა, ასზე მეტი ნათლული მყავს მეთქი, ეს თქმა სრულებითაც შემცდარი არ იქნება.—

მეტათ სასიამოვნო და თავმოყვარობის დამაკმაყოფილებელია ნათლიობა ერთი მით, რო ყმაწვილის მონათვლას გათხოვს მხოლოთ ის, ვისაც რამეთ მიაჩნისარ და მოყვრობასაც ვიპირობს, თორე, ვინც არ გაფასებს, არც ამ გვარ დაახლოვებას განიზრახავს გულში შენთან. მეორე—ნათლია ნათლულისთვის იგივე მამაა და ნათლული ნათლიისთვის—იგივე შვილი, ასე რო, მათ შორის, მამა-შვილური განწყობილება არსდება: ლხინი და ქირი ნათლიის და ნათლულის ოჯახებისთვის საერთო და განუყრელი ხდება. თხოვა-გათხოვება ნათლულისა მშობლებთან ერთად ნათლიასაც ეკითხება. ნათლული ქალის გათხოვებაზე თავკაცათ, ახალ მოყვრებთან საქმიან მოლაპარაკეთ, ანგარიშის მიმცემათ ნათლია გამოადის. ნათლულ ვაჟს—კი, ცოლის თხოვის დროს, ნათლია ახლავს და მამის მაგიერობას უწევს ყოველთვის... ეს სიცოცხლეში.

სიკვდილის შემდეგაც, მიცვალებული ნათლია, ნათლულის მხრით, პატივცემულია: სოფლის ჩვეულებით ნათლული ვალდებულია მგლოვიარე, ანთებული კელაპტრით ხელში დაადგეს თავზე გარდაცვალებულს ნათლიას და იმავე კელაპტრით მიაცილოს იგი სამარმედი...

ყველა ეს, ჩემი შეხედულებით, ძლიერ მოსაწონი რამ არის და ამისთვის სრულებით საკვირველი არაა, რო მე ნათლიობაზე ყოველთვის დიდი კმაყოფილებით თანხმობას ვაცხადებდი და რო დღეს ასზე მეტი ნათლული მაინც მყავს.

ერთი ჩემი ნათლული, ანდრო დედამამის ერთაა. მამა მისი ზაქარია კარგა ხელმომთბარი გლეხია ჩვენ სოფელში და ამისთვის, როცა დრო მოვიდა, ანდროს მრავალი საცოლოები შეეძლია და მაშვლებმაც წამ და უწუმ სიარული იწყეს. მართალი უნდა მოგახსენოთ, მე ამ საცოლოებში მხოლოთ ერთი მომეწონა, გაღმა სოფლელი, ივანა გოროზაშვილის ქალიშვილი, რომელიც შეხედულობითაც გვარიანი იყო და, შედარებით, მეტი ბარგ-მზითევი ქონდა, ვიდრე სხვას და ასე რომ ანდროსთვის მეც და მამამისმაც, ჩემმა ნათლიმამამ, ზაქარიამაც ივანა გოროზაშვილის ქალის თხოვა ვადავწვიტეთ.

შემოდგომა იყო, როცა ამაზე მოლაპარაკებაც გათავდა. მარა ჯვარის წერა არ ხერხდებოდა, რათგან წლის მოსავალი ჯერ კიდევ მოწეული დაშენახული არ იყო.

სწორეთ ახალ ნანათლისღებებს დაიწერა ჯვარი ანდრომ. ქორწილში, რასაკვირველია, ვიყავი მე და ჩემი მოვალეობაც, როგორც სიძის ნათლიამ, რიგიანათ ავასრულე! ანდ-



როს სიდედრს დასალევი გავუგზავნეთ \*), კარის გასაღები გადავიხადე \*\*); ღვდელს და დიაკონს საშრომო მივართვი, ანდროს მზითვეი, რაც იყო, მე ჩავიბარე და სხვ!.

ჩვენს მასპინძელს ივანის ბევრი სტუმარი მოეწვია და ქორწილის ვახშამი ძლიერ გაქიანურდა. განსაკუთრებით, გაქირვეულდენ ახალგაზდები ღვინის სმაში და ერთმანეთს დაუზოგავათ უშენდენ ყანწებს და ყურიან ქიქებს.

მე, როგორც დროულმა, რასაკვირველია, ვერ შევძელი იმათი უღლის გაწევა. ცოტა სიცხვეც ვიგდენ და ამისთვის სუფრიდან ავდექი, მოვიხადე ბოდიში და გაჩაღებულ დიდ შვაცეცხლს მივუჯექი სიამოვნებით.

სუფრა ერთმა სხვამაც მიატოვა და ჩემთან ახლოს დაჯდა. ამ ადამიანის გარეგნობამ ჩემი ყურათღება მიიპყრო, რათგან ის არაფრით არ გავდა დანარჩენ იქ მყოფ სტუმრებს.

ტანათ მაღალს ეცვა შიგნიდან ტყავგამოკრული, მინაოჭებულნი ხალათი, რომელზეც ფერადი სარტყელი ქონდა შემორტყმული; ფეხზე ეცვა დიდი ჩექმები, სისწორით გარშემო შემოჭრილი თმა, თითქმის უფარავდა კისერს და თავზე—კი რუსული კარტუზი ეხურა.

ერთი სიტყვით, ამ ადამიანს ჩვენებური არაფერი არ ქონდა და ის ყოლიფრით უცხოს უფრო გავდა.

— ძლიერ ადრე ამბანდიან სუფრიდან, ხომ არ მოგწყენიათ? მკითხა მან.

— არა, მოწყენით, აბა, როგორ მომეწყენება ქორწილში, მარა სუფრაზე მათი დარჩენაც არ იყო ჩემთვის საჭირო!—ვუთხარი მე.

— თქვენთვის-კი არა, მე მგონია, აღარც ამ ყმაწვილებსთვისაა საჭირო... ძალზე ნაღვინები არიან. ამ ადამიანს, როგორც ზევი-

თაკ ვამბობ, ჩვენებური არაფერი არ ქონდა და ამ გარემოებამ მე ძალიან გამაკვირვა.

— უკაცრავათ-კი გახლავართ, მარა, გთხოვთ მიბძანოთ, სადაური ბძანდებით თქვენ? შევექითხე მე, მორიდებით.

— მე ამავე სოფლისა ვარ, ნიკო კაქკაშვილი! მიპასუხა მან.

— სრულებით არ გავხართ აქაურს.

— დიახ, მარა მაგის მიზეზი ისაა, რომ თითქმის ოცი წელიწადია, მე ამ ჩემ ქვეყანას მოშორებული ვიყავ და უცხო ადგილს ვცხოვრობდი.

— არ შეიძლება მიბძანოთ, რად, ან რისთვის იყავით წასული?

— დიდი სიამოვნებით. მარა ეს ამბავი დიდი ხნის საქმეა და თქვენთვის მოსაწყენი იქნება.

— სრულებითაც არა, გთხოვთ, მიაშობოთ! და მან მიაშობა.

— მე, ბატონო ჩემო, როგორც მოგახსენეთ, აქაური ვარ, ნიკო კაქკაშვილი, ახლა-კი ნიკო ნაციმბირალს მეძახიან...

— როგორ?

— იმისთვის, რომ მე გავზავნილი ვიყავი ციმბირში და იქიდან მხოლოდ ეს ორი წელიწადია, რაც დავბრუნდი!

— საქმე შეგვხვდათ რამე?

— მოგახსენებთ! ყმაწვილობიდანვე ერთი თავადის კარზე ვიზღებოდი. ეს თავადი-იქნება კიდევ გაგიგონიათ—იასონ თავაკაცე იყო. ახლა ის ცოცხალი აღარ არი. იმ დროს—კი კარგი თავადებული თავადიშვილი იყო, დიდი მამულის პატრონი და, ამას გარდა, კარგი პურმარლის კაცი. ღმერთმა აცხონოს და მის სასახლეში არავის არ მოშვიდებოდა და გამვლელ-გამომვლელი მოურიდებლათ ღებულობდა მის ოჯახში პატივისცემას.

მთავრობის კაცი, თუ დაიძროდა სადმე, ან ნაჩაღიკი, ან სუღია, ან სხვა ვინმე, უეჭველათ, იასონისას მოვიდოდა და უპატივცემულოც არ დარჩებოდა. მანსოვს, რამდენიმეჯერ ეპისკოპოზიც-კი მიბძანდა თავის კრებუ-

\*) ჩვენში ჩვეულებაა: სიძემ სიდედრს, ქორწინების დღეს, ფულით საჩუქირი უნდა გაუგზავნოს. ამ საჩუქარს სიდედრის დასალევი ქვია. ავტ.

\*\*\*) ჩვენში ეკლესიის დარაჯი (სტოროჯი) ეკლესიის კარს არ გაუღებს ნეფე-ღვდოფაღს, თუ სასყიდელი არ მიიღო. ამ სასყიდელს კარის გასაღები ქვია. ავტ.



ლით. ერთი სიტყვით, იასონის სახლი ყველა-სთვის ღია იყო და იასონის ოჯახი მოუწყვე-ნელ მასპინძლათ ითვლებოდა იმ არე-მარეში.

აი, ამ თავადს ვემსახურებოდი მე და—მართალი უნდა ვთქვა—ჩემს სამსახურს და ერ-თგულებას ის ძლიერ აფასებდა და გულდაწ-ყვეტილიც არაფრით არ ვყავდი.

იასონის მახლობლათ სხვა თავადებიც ცხოვრობდნენ. მარა იასონისანა სახელო-ვანი და პატივცემული არც ერთი იმათგანი არ იყო: არც შეძლება აძლევდა მათ ამის ნე-ბას, არც ბუნებით იყვენ მისებ გულუხვი და გულ-გაშლილი.

ხო მოგეხსენებათ, თვალი თვალის მტე-რია, რო შვაში ცხვირი არ იყოსო და იასონ-საც, რა თქმა უნდა, მტერი არ აკლდა... მე-ზობელ თავადებს, თითქმის ყველას ეხარბებო-და მისთვის, როგორც სიმიდრე, აგრეთვე თავ-აღებულობა, ყველა შურით უყურებდა მის მდგომარეობას. მარა ყველაზე უფრო მტრობ-და იასონს მეზობელი იაკინთე. ის თითქმის გამოჩენილ მტრათ ითვლებოდა და აღარც თვით იაკინთე ფიცავდა ამას.

რა თქმა უნდა, იასონის მტრობით გაბო-როტებული იაკინთე არც მის მეგობრებს და

ერთგულებს ინდობდა და მათაც მტრულის თვალთ უყურებდა. იაკინთეს, განსაკუთრე-ბით, არ მოეწონდი მე. მიზეზი იასონისადმი ჩემი უზომო ერთგულობა იყო, ბევრჯელ საი-დუმლოთ მინახულა იაკინთემ, ცადა, რო-გორმე გადავებირებოე თავისკენ და იასონს გავშორებოდი. მარა ეს მისი საცადი საცადათ რჩებოდა, იასონის ღალატი—კი ჩემს გულს არ ეკარებოდა. მათშორის დამოკიდებულება უფრო ვამწვავა ერთმა შემთხვევამ. მათი დი-დი ხნის დავა, ერთი კარგა მოზღდილი მა-მულის შესახებ, სასამართლოში იასონის სა-სარგებლოთ გათავდა. ასე რომ, სადავო მა-მულიდან იაკინთე დაითხოვეს და ის იასონს ჩააბარეს.

იაკინთე მეტათ გააბოროტა ამ შემთხვე-ვამ. მან არ იცოდა, რა ექნა. ის ბრაზმორე-ული ეძებდა შემთხვევას, ცთილობდა იასონის-თვის რაიმე ევნო. მარა ამათ: ის ვერას ხდე-ბოდა და ეს გარემოება—კი მას უფრო უმა-ტებდა ბრაზს.

თავ—თეთრი.

(შემდეგი იქნება).

## ეგებ, შენა ხარ.

(სს-ას ასულს.)

ეგებ, შენა ხარ ჩემი სულის ბედის ვარსკვლავი?

ეგებ, შენახარ ჩემი ლტოლვის უცხო არსება?

ეგებ, შენახარ ჩემი ყოფნის ტკბილი სიზმარი?

ეგებ, შენახარ სალოცავი ჩემი ღვთაება?

მითხარ, ვინახარ? რათ შეიბყარ სული მღელვარე?

მითხარ, რას ხატავს ეს ღვთიური შენი ღიმილი?...

ეგებ, დამცინი, ვით დემონი შხამ გესლიანათ?

ეგებ, გწყურია ჩემი ოხვრა, ჩემი ტირილი.

მითხარ ვინახარ? ეგებ, ისა—ვისაც ვეძებდი?

ეგებ, შენახარ ხორცშესხმული ჩემი ოცნება?

ჰო, მითხარ, მითხარ, გეხვეწები, გემუდარები,

ეგებ, შენახარ ჩემი ლტოლვის უცხო არსება?

სანდრო გურული.

თბილისი. 30 ივლისი, 1916 წ.



## სურვილი.

### I

მსურს გადვიქცე მძლეოთა-მძლეველ, ცეცხლის მფრქვეველ რისხვის  
 ღმერთად,  
 რომ აღმოვფხვრა, რომ ამოვწვა ფესვი, ძირი ბოროტების;  
 და, შემდეგ-კი, შავ-ცხოვრებით ჩემებ ჩაგრულ ძმებთან ერთად  
 შემოვძახო ჰანგი შვების, გამარჯვების, განახლების!..  
 მსურს შევასვა შავ-ბნელ ძალებს გესლ ნარევი უხამ-სამსალა,  
 შემოქმედო, შემოქმედო, ძალა მომეც, მომეც ძალა!...

### II

სურს გადვიქცე შმაგ გრივალათ, დავანგრიო კერპთ საეანე,  
 დავამსხვრიო ცოდვის ღზუდე, შორს გავფანტო ბნელი ღამე...  
 მსურს აფუშვა შავ საღ კლდიდან ამირანი მიჯაჭვული,  
 გავამეფო სათნოება, გავაღმერთო დაჩაგრული...  
 მსურს ხსნის ჰანგათ ჩავექსოვო ბნელით მოცულ ჩაგრულთ კერას,  
 ყოვლათ სრულთა განთიადის იმედი ძმობს ჩემს სიმღერას!..

ხ. ვარდომეილი.

## ბედი კაცისა წააბავს...

ბედი კაცისა წააბავს ურმის თვალისა ტრიალსა...  
 დღეს, ვისაც ბედი უღიმიას, შეხარის ტკბილსა ტრფიალსა,  
 ხვალ, შეიძლება, ზევიდან დაუბოროძიკდეს მას ფეხი,  
 ქვეშ მოიტანოს ცხოვრებამ და დასცეს თავზედა მეხი.  
 დღეს კაიზერი თავ-დავიწყებით ისწრაფის ქვეყნის დაპყრობას,  
 არ კამარობს გერმანიასა, სისხლით რწყავს ქვეყნიერობას.  
 ოხრავს ზღვა და გვეინავს ზეცა, ტირის მთა და ტირის ბარი,  
 დედა მიწას, ჰაერს და ზღვას წითლათ ღებავს სისხლის ღვარი,  
 აოხრდა ქვეყნიერობა, იქცევა ქალაქ-სოფლები.  
 თავ შესაფარი რომ არ აქვთ, ომში მომწყდართ ქვრივ-ობლები  
 გარბიან, იხიზნებიან, შიშველ-ტიტველნი-მშიერნი;  
 თუ, რო შეიძლეს, თან მიყავთ მოხუცებულნი-ხნიერნი.  
 ამას ჩადის კაიზერი, დღეს დიდათ მოაქვს თავია,  
 ხვალ, ვინ იცის, რა მოელის, იქნებ, დატოვოს ტყავია,  
 ნაბუქლონოსორ მეფე ცოდვისთვის ღმერთმა დასაჯა.  
 ვინ იცის, ზეცამ ისმინოს საცოდავ ქვრივ-ობოლთ აჯა.  
 ვილგელმა წაიბოროძიკოს, წამოკრას ქვაზედა ფეხი,  
 მაშინ, როცა არ ელოდეს... დამარცხდეს ომის ამტეხი.

ნესტორი.



## კრიტიკა.

### ეკატერინე გაბაშვილისა \*).

#### IV.

მოთხრობაში „თამარის ნუგეში“ (გვ. 341) დიდათ პატივცემულ მწერალს საკმაოდ ცოცხლათ აწერილი ყავს მდიდარი, ლამაზი, დიდი გვარიშვილი, სამხედრო სამსახურში მყოფი ყმაწვილი კაცი, გიორგი ედიშერაშვილი, რომელიც მოხუცებულ დედას უამბობს თვის გულის ნადებს. გიორგის შეყვარებია თავადი ივანე შავლაშვილის უშვენიერესი თამარი, რომელიც მისთვის „სუყველაფერია, ფერიაც, ღმერთიც და დიდებაც“...

ეს ლამაზი, კეკლუცი თამარი სოფლის ტეტიათა დიდი მოტრფიალეთა, რომელთაც შვილების ასახდელათ სასწავლებელს უმართავს, იმათ მასწავლებელს მიუჩენს და ღვდელსაც კარგათ მომზადებულს გამოუძებნის სოფელს.

სკოლის გახსნის დიდათ საღვთსაწაულო ღღეს, გულკეთილი თამარი მთელ გლეხობას სადილათ მიიპატიჟებს, რომ იმათთან ერთად მზიარულათ შეხვდეს ამ დიდ სამახსოვრო ღღეს და ყველამ ერთად დალიოს საღვთსაწაულო ახლათ გახსნილი სოფლის სკოლისა...

მარა გიორგი ედიშერაშვილის საუბედუროთ, თამარი საცოლვე ყოფილა ლევან ქართველიშვილისა, რომელიც აგრანომის სწავლობს საზღვარ-გარეთ, რომ იქიდან დაბრუნების შემდეგ, სოფელში დაესახლოს, გლეხებს მხარში ამოუდგეს და იმათი მეურნობა ევროპულ, რაციონალურ გზაზე დააყენოს და ისინი ნივთიერათ გააღონიეროს.

თამარი ანუგეშებს ასეთი ამბის გამგონე გიორგის, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მიატოვოს სამხედრო სამსახური, წავიდეს საზღვარგარეთ სასარგებლო სწავლის მისაღებათ, რომ იქიდან მობრუნებულმა ნამდვილი სამსახური და პატრონობა გაუწიოს თავის დიდ მამულსაც და გლეხ-კაცებსაც.

— მერე შენც დაუჯერე და სამსახურს თავი დანებე? — ამოოხვრით უთხრა შვილს ქეთევანმა.

— კიდევ და არა! იმ დღიდან, რა დღესაც პირველათ თამარი ვნახე ბედნიერი თვისი გლეხების ბედნიერებით, მე გადავწყვიტე სოფელში დასახლებულეყავ, მარა სოფელში დასახლება უთამაროთ თავის დღეში ვერ წარმომიდგენია. მე მხოლოდ მინდოდა გამეფართოვებია ის ვიწრო ასპარეზი, რომელზეც თამარი მოქმედებდა და მე მისი თანაშემწე გამხდარეყავ. მარა, როგორც ხედავ, ჩემი აზრები სრულიათ ჩაიშალენ. თამარი სხვისი არი და მე მხოლოდ ის დამჩენია, რომ ხელი მოვკიდო იმ საქმეს, რომელიც უწმიდესი მოვალეობა ყველა ქართველისთვის, როგორც მოთხრა თამარმა და მეც სრულიათ მას ვეთანხმები.“

ასეთივე წინათ აღებული აზრით, ტენდენციით არი დაწერილი პატარა ფანტაზია „სამშობლო ხევსურისამ რა ქმნა“, სადაც გამოყვანილია ხევსურელი ლევან მთიშვილი, რომელსაც რუსეთში უმაღლესი სასწავლებელი დაუსრულებია იმ დროს, როცა მთელ ქვეყანას ჰუმანური აზრები მოედვა. ლევანი სამსახურში შედის, ქაბუკობის დროის ყოველი გატაცება დაავიწყდება და მიაღწევს გენერლის ხარისხს.

ერთ სუფრაზე, სადაც ხნიერთა კრება გემრიელ სადილს მიერთმევედა და ყველანი რუსულათ ბაასობდენ, წამოხტება ქართული გაზეთის თანამშრომელი ყმაწვილი კაცი და ქართულათ სიტყვას იტყვის. გენერალი დიდათ მოხიბლული იმ სიტყვებით, რომელნიც პოეტის რაფიელ ერისთავის ლექსიდან „სამშობლო ხევსურისა“ იყო მოტანილი, ორატორთან მიიჭრება და მამობრივის გძნობით გადაკოცნის მოსაუბრეს: გმადლობ, რომ მომაგონე ჩემი მოვალეობა, ჩემი კაცური დანიშნულება, რომ ძალა მომეც უკვდავის პოეტის სიტყვებით კვლავ ფეხზე დავდგე და გვიან, მარა მთელი ჩემი შერჩენილი ძალით ჩემ შავ კლდეებს დაეუბრუნდე და მის მცხოვრებთ, შეძლების დავგვართ, ცრემლი მოვწმინდო და გაღიმების ძალა მივცე“.

მთელი ბროლისეულის კოშკი ერთ დიდ მატყლის საწყობათ გადაქცეულა, რათგან მთელი ხეობის მთიელნი ძველათგანვე ცხვრის მო-

\*.) იხ. „ცხოვრება“, № 10.



შენებასა და მატყლით ვაჭრობას მისდევენ. აი, ამ ბროლისეულსვე უბრუნდება, მოხუცებულობის ჟამს, გენერალი ლევან მთიშვილი, რომელიც ჩოხა-ნაბადში გამოწყობალა, თავზე ჩაბალახი დაუბურავს და მხიარულათ შეძახებს ეკლესიის კარებთან შეგროვილ ხალხს: „გავიშარჯვეთ! ვიშოვე სამუდამო ვაჭარი ჩვენი მატყლისთვის, მოგება დიდი და დიდი გვექნება და ჩვენი მტერი ჩარჩი პირში ჩალა გამოვლებული დარჩება“!

ამავე აზრებით და გატაცებითაც არი დაწერილი საკმაოდ დამუშავებული მოთხრობა „გამარჯვებული ნიკო“ (გვ. 384), სადაც გამოყვანილია სოფლის ღარიბი ღვდლის შვილი, სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებული, რომელიც მასწავლებლათ არი შევნიერი მდიდარი კახეთის ერთ სოფელში.

ეს მასწავლებელი აგვისტოს გასულს, როცა იგი თფილისიდან დილიჯანსით კახეთს მიდის, გზაზე გაეცნობა თავადის ასულს, მართას, რომელიც იყო ქვრივი აზნაურის კოშკაძისა. მართა მიყვება კახეთს თვის ერთად ერთ ობოლს ქალიშვილს ლიზას, რომელსაც „ზავედენიაში“ კურსი ახალი დასრულებული აქვს და ისიც მასწავლებლათ დაუნიშნავეთ კახეთის ერთ სოფელში, ნიკოს სოფლის მეზობლათ. ნიკო და მეტათ ლამაზი ლიზა გზაში საგძნობლათ დაუახლოვდებიან ერთმანეთს და პირველი სიყვარულის ვარდის კოკორიც რაღმე თავს საიმედოთ ამოყოფს...

თელავში მისვლისას, ერთ დაოხრებულს დაძველებულ სახლში, რომელსაც, უცხო სტუმრების გულგასახეთქათ, თელავის „კუბეწები“ „ღოსტინას“ ეძახიან, მართა და ლიზა ვახშამზე გაეცნობიან კახეთის ერთ დიდი თავადის ვაჟს, იასონ ჯანბადრუკინს, რომელიც საფრანგეთში იყო გაზდილი და ამასთანვე მეტათ შევნიერი შეხედულების ვაშკაციც გახლდათ.

ლიზა და იასონი ისე დაახლოვებით გაიცნობენ ერთმანეთს, რომ იასონი პირდაპირ ეუბნება ლიზას: „ოჰ, სოფლის მასწავლებლობა ყმაწვილი, გაზდილი და ლამაზი ქალისთვის, это ничто весьма грубо. Предоставьте

это дело семинаристамъ.“ იასონი დიდი ბარაქიანი, ლამაზ-ლამაზი სიტყვებით პირდება, რომ იგი ლიზას უფრო სუფთა, გულის გამართობელ საქმეს გაუჩენს.

ამ იასონს ყავს ხანში შესული მამა, ასე ნაწილად მიღწეული ლუარსაბი, აშოკობით გათქმული მთელ კახეთში. იგი გაეცნობა ლიზას, რომელსაც მთელ საქართველოში ერთს უდიდეს დღეობა-ალავერდობაზე დიდის ამბით დაპატიებებს. აქ მასწავლებელი ნიკო ყოველივე ონებს ლუარსაბისას გაიგებს კარგათ, რომელიც მისი მეოხებით პირში ჩალა გამოვლებული რჩება. მარა, სამაგიეროთ, ნიკოს საშინლათ გადაემტერება ლუარსაბი, რომელიც ქალაქს გასწევს, სადაც იგი სულ ადვილათ მოახერხებს ნიკოს მასწავლებლობის ადგილი დაუკარგოს და ლიზაზე გადაკიდებულ შვილს იასონს-კი სტავროპოლის გუბერნიაში მახრის უფროსის თანაშემწის ადგილს უშოვის.

მარა ლუარსაბია ქალაქში ყოფნის დროს, მთელი ოთხი თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში დარდიმანდმა იასონმა ღვთისგან მინიჭებული დიდი ტალანტისალახანობისა მთელი ძლიერებით გაშალა და უბედურს ლამაზ ლიზას, რომელსაც პატიოსნებით შემკული მასწავლებელი ნიკო აფთხილებდა, ნამუსი ახადა და სულ-ხორციანა დაღუპა იგი...

კახეთს განშორებული ლიზა, რომლის გაუბედურებამ თან გადიტანა დედა იმისი, თფილისს მიდის... იქ მტკვარში გადავარდება და დაიხრება... ბედდამწვარი ნიკო-კი უალაგოთ დაეხეტება თფილისის არე-მარეზე და ბუღვარსა ტყეპნის...

ხომლედი.

(შემდეგი იქნება.)

## არც იქით არც აქით.\*

(დასასრული.)

ჩვენ ვიტყვით, რომ ეს უბრალო ჩვეულებაა და რა დიდი საფასურიაო. მარა ეს ასე არ არის. ერთმა პოეტმა თქვა:

\*) იხ. „ცხოვრება“, № 12



დარბაისლური წესები,  
რაც რამ გვექონია ძველათა,  
თუ ერთხელ დაიკარგება,  
ძნელია საპოვნელათა.

დედოფლის მოყანის დროს, თუ გალობით მაყრულის მთქმელი აღარ მოიძებნება ამ დროში, ხალხური „კუჩხაბედნიერი“, და მისი მსგავსი მაინც არ უნდა გადაგვევლო, რომელიც ამ დროს მეტისმეტათ შესაფერისია და ქორწილის შნო, ლაზათი, გამაცოცხლებელი, ელფერის მომცემი და სიამოვნების მომგვრელი. წინათ, უამისოთ ქორწილი ვერც-კი წარმოედგინათ. და, რა უშნობას წარმოადგენდა, ამ დროს, ჩვეულება: ჩოხოსნები, რომ ხმლებს იშიშვლებდნენ კარის თავზე, შიშველ ხმლებს გადააორდიკალებდნენ რაწკა-რუწკით და ისე მეფე-დედოფალს გაატარებდნენ შიგ? განა, ამ დროული ოჯახში მუნჯურათ შესვლა მეფე-დედოფლისა და მაყრებისა ვისმე გულს აგძნობიებს სიამოვნებას? ან ქორწილის და მხარულების გამომხატველია? ეს ჯობია ჩვენს მამაპაპათა ჩვეულებას? არა მგონია. ჩემს გულს მაინც, არ ეკარება და, ამიტომაც არის, ახლანდელ მრავალ რიცხოვან მექორწილეთა შორის დაჯდომას, სამოთხ მეგობარ კაცთან პურის ჭამა მიჩვენია. ნამეტანი უშნოთ გადაგვავრდიო!..

ახლა, ნამდვილი სახე თქვით! არც ქართველისა გვაქვს, არც რუსის, არც ევროპელის და, რომ საკუთარ თავსა და ჩვენს ცხოვრებას სამართლიანი კრიტიკით ჩაუკვირდეთ, მაშინვე მივხვდებით, რომ ჩვენ ერთი რომელიმე გასაზღვრული ერის ტიპი აღარავართ. — არც ჩაცმულობით, არც ლაპარაკით, არც ხასიათით და არც ჩვეულებით. ჩვენ ვართ **აჭრელებულათ** გადაგვარებული დამხოლოთ ვამბობთ-კი, რომ ქართველი ვართ. აბა, რომელი ერის უნდა იყოს: რუსია იგი, თუ სომეხი, თათარი, ბერძენი, ფრანგი, ნემეცი, იტალიელი, ინგლისელი და სხვა, თუ ნახავთ მათში ჩვენსავით არეულათ მოლაპარაკეს? თუმცა ძალიან კარგათ იციან, ჩვენზე უფრო, მათთვის უცხო და სხ. და სხვა სახელმწიფოთა ენები, მარა უცხო ენას მხოლოდ უცხოისთან ლაპარაკობენ და არა ერთმანეთ-

შორის და ოჯახში, კრებებზე. ჩვენ-კი სხვა ენას, ჩვენი ენის მოსასპობლათ სწავლობთ...

ჩვენ რომ ეკლესიაში „მერმე და მერმე“<sup>1</sup> ღ „ლოსპოდი პომილუის“<sup>2</sup> ვყურობთ, ეს მხოლოდ ჩვენ ყურებს არ ეჩოთირება და ჩვეულებრივ მოგვინებათ მიგვაჩნია. თორე ჩვენი წინაპრები, რომ წამოდგენ და ეს გაიგონონ, „მარცხენა ხელით“<sup>3</sup> გვიტირებენ... გაოცდებიან და ჩვენი სჯულის შერყევით ჩათვლიან, იმდენათ გასაოცარი და სათაკილოა ეს და ასე მოეჩვენება იგი ყველა უცხოელის ყურსაც.

ერთხელ, სოფელში მივდიოდით. რიონის სადგურზე ვიდაც ერთი უცხოელი მოგზაური გამომესაუბრა: — სადალური ხარო? მეც მოვახსენე: — ქუთათური ვალავარ-მეთქი. გაკვირვებით მკითხა: *скажите, пожалуйста, я удивился у Васъ одному: Въ Соборѣ служили на какомъ то языкѣ, а пѣли на славянскомъ. Неужели на томъ же языкѣ не пають?* სირცხვილათ გავწითლდი... მე მოვახსენე: წირვა ქართულათ იქნებოდა და ისე, ხანდახან, გალობენ სიხალისით სლავიანურათ, თორე ქართული ვალობა, როგორ არ იციან-მეთქი. მან მითხრა: *всетаки, это неудобно для молящихся.*

უცხოელს ასე გაუკვირდა და ჩვენ-კი შეეტრფით ამ ანომალიას...

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში უწმ. სინოდის გამოგზავნილი რევიზორი მოვიდა, ერთხელ. წირვა ღვედელმა ქართულათ შესრულა და ქართულათ ვვალობდით. რევიზორი ისმენდა. ღვედელმა ერთი შევიდობიანი სლავიანურათ ჩამოურია; ჩვენ ქართულათ, შეცთომით, უფალო შეგვიწყალენ, მივაცოლეთ. იმ დილას მთელი კლასის მოწაფეებს ერთათ ყველა დილის ლოცვები სლავიანურათ ვაგალობე, რომელსაც ისმენდა რევიზორი. მარა „პაკი, პაკის“<sup>4</sup> თქმის დროს, ჩვენგან ქართულათ ნათქვამი — უფალო შეგვიწყალენ, მაინც არ დაივიწყა და საყვედურით მითხრა: *Когда въ церкви идетъ славянская эктѣнія, тогда непременно должны пѣть по славянски.*

ასე საწამლავათ გჩვენება სხვას არევა-და-რევა და სიჭრელე წირვა-ლოცვაში იქნება



იგი, თუ ლაპარაკში სადმე. ჩვენთვის-კი ეს უცვლელ ჩვეულებათ გარდაიქცა...

მთელ ქუთაისში, თფილისში და მათი წამხერილობით სოფლებშიაც-კი, სეფისკვერზე დასაკრავათ ქართულ ბეჭედს აღარ ხმარობენ. ვინ აიძულა ჩვენი ღვდლები, რომ ქართული ბეჭედები დაკარგეთ, გადააგდეთ და სლავიანური ბეჭედი ურტყით სეფისკვერსო?! არაინ. მარა ჩვენ ყველაფერში გადაგვარების ღმერთს ვცემთ თაყვანს.

ვინ დაგვიშალა, ქართულათ ნუ ვალობთო? ვინ დაგვავალა ნახევრათ რუსულათ წირვით, ნახევრათ ქართულათო? ვინ გვიბძანა, ქართველმა ქართველს მუდამ, შინ და გარეთ, რუსულათ ელაპარაკეთო? ვინ გვითხრა, შენი მამაპაპური ზნე-წესი უარყავ, უცხო შეითვისე, გაურჩევლათ, კარგია იგი, თუ ცუდი და, ან რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

საცოდავი ჩვენი თავი!.. რა უღირსი მემკვიდრენი დავრჩით ჩვენ მამა-პაპებს... გულზე ხელი დავიდვით და ვკითხვით ჩვენ თავს: რა ვართ ჩვენ დღეს?!

— არც იქით, არც აქით!..  
რ. საჯავახოელი.

### აგარაკი ბახმარო.

(მგზავრის შენიშვნები.)

გადავწყვიტე წრეულს სააგარაკოთ ბახმაროზე წასულვიყავი. რამდენიმე თანამგზავრიც ვიშოვე და ივანობისთვის თუთხმეტიდან არხეინათ გავწიეთ გურიისკენ.

ქუთაისიდან, რომ წავედით, იმ დღეს საშინლათ ცხელოდა. ვაგონები ხალხით იყო სავსე და შიგ მძიმე ოხშივარიც იდგა. მგზავრებს სუნთქვა გვიძნელდებოდა. სიცხისგან შეწუხებულმა ვაგონის ბაქანზე გამოვედი ღ სიძლით მდიდრათ მოფენილ ქალებს დავუწყე თვალიერება. იქვე, ჩემს სიახლოვეს, გლეხები შეჯგუფულიყვენ და ერთი-მეორეს თავთავიანთ გაჭირვებას მოუთხრობდენ.

— ეგ, ბატონო, რა გაჭირვებაა, უთხრა ერთმა. ღმერთმა, თუ არ ინება და წვიმა არ მოვიდა, გაჭირვება მაშინ ნახეთ! მთიანი ალაგის მოსავალი ხო წახდა. მარა ეგ ქალებიც

ხომ არ ვარგა და ისაა. ე-ებ! დაგელოცოს, ღმერთო, სამართალი, თქვა გლეხმა. ბაქანზე შემოისმა კანდუქტორის ხმა ქაქანათ:

— ბილეთები დაამზადეთ, ბილეთები!

ყველამ ჯიბისკენ წაიღო ხელი და ბილეთებს დაუწყო ძებნა. ბილეთები გაშინჯეს — გაქრეს და გავგმორდენ. გლეხებმა თავის ქირ-ვარამზე განაგძეს ბაასი. ჩვენ თითქმის შეუმჩნევლათ ჩავიარეთ რამდენიმე სადგური და ახლა სამტრედიის სადგურში შევდიოდით. ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ, სამტრედიიდან გავწიეთ ბათომისკენ.

ბახმაროზე სამი გზით მიდიან. პირველი, ნატანები-ოზურგეთი-ვაკიჯვარის გზა. მეორე — საჯავახო-ჩოხატაური-ხიდისთავი — და მესამე საჯავახო-ჩახატაური. ჩვენ ავირჩიეთ პირველი, თუშცა დიდი გასხვავება არც ერთში არ არი...

ნატანებში, რომ მივედით ღამის ათი საათი იქნებოდა. იმ ღამესვე გვინდოდა ნატანებიდან ოზურგეთისკენ წასვლა. მარა რათგან ჩვენი ბარგი კონდუქტორს საჯავახოში დაეტოვებია, ჩვენ იძულებული შევიქენით დილაში იქ დარჩენილვიყავით.

ნატანები პატარა სადგურია, ბათომის რკინის გზაზე. აქვე, ამავე სახელწოდების სოფელია და რამდენიმე ათეული დუქანი და სახლიც არი გაშენებული, სადგურის სიახლოვეს. აქ დუქნების ულახათო ხის შენობები, თავის კბილ ჩამტვრეული და ჩამომპალი სამთვლიანი ხის კიბეებით, რომელნიც ფეხის სამტრევე ხაფანგით გამოიყურებიან, მეტათ მოწყენილათ დგანან. ახვალთ ამ სახლების აივანზე თუ არა, მაშინვე შეამჩნევთ იმ უნუგეშო მდგომარეობას, რაც შესვლამდინ იყო. მარა მგზავრი ხო ყოველგვარ შემთხვევას უნდა ემორჩილებოდეს და ჩვენც ეს ბედი განვიცადეთ.

ვივანშმეთ და, მერე, მედუქნემ ღამის გასათევათ შეგვიყვანა იქვე პატარა ნესტიან ოთახში.

ჩავწევით ლოგინში, თუ არა, მაშინვე ამოძრავდენ უსუფთაობის ლაშქარნი. ჰერიდან, კედლებიდან და კრაოტიდან ბაღლინჯოების და იატაკიდან რწყილის შემოსევას საზღვარი



არ ქონდა. განაწამები—ომით ის ღამე თერთრათ გაუათენეთ. დილით მეეტლე დავიკი რავეთ. ბარგი-ბარხანა შეგკარით და წასასვლელათაც მოვემზადეთ.

ერთმა თანამგზავრმა ვერ მოითმინა და ოღნავის ღიმილით მედუქნეს შენიშნა:

შე,—კაი კაცო, რისთვის დაგბროვებია ამდენი მეომარი მწერებია?

— ბატონო, მგზავრებს შემოყავს და აქ ტოვებენ და მერე, უპატრონონი ყველას ეკედლებიან, მიუგო მედუქნემ.

გაუდღეკით გზას. გზაში ერთ ეტლს ცხრა კაცი მივეყვადით. მოძრაობა ეტლში შეუძლებელი იყო. სიცხე-პაპანაქებამ სუნთქმა წაიღო. გზაზე რიგიანი შესასვენებელი ალაგი არსათ არი. ნატანებიდან-ოზურგეთამდი სულ ყანებით შეგვხვდა მგზავრობა. ივანობისთვის სიცხეებით და გვაღვით ყანები ნამეტანი იყო შეწუხებული და გლეხ-კაცობა წვიმას ნატრობდა...

გზა და გზა ბუნების სურათები განსაკუთრებულ ყურათღებას არ იპყრობდა. ოზურგეთის გზების პირათ, ემეტესათ, თხმელის ხეებს შეხვთებით და ზედ აქა-იქ გაშვებულია ძველი ჯიშის ვენახი „ადესა“, რომლის მოსავალს წროულს კარგი პირი უჩანს. აქა-იქ თამბაქოს პლანტაციებსაც შეხვთებით.

ოზურგეთში მშვიდობით ჩავედით და მეეტლემ იმ დუქანთან შეგვაჩერა, სადაც ვაკიჯვრის ღონეკა ჩერდებოდა. აქ ცოტახნის შესვენების შემდეგ, ჩვენი დანჯღრეული ღონეკა დაიძრა და ჩვენც გავუდღეკით ხრიოკი გზით ვაკიჯვრისკენ.

ვაკიჯვარში რო ჩავედით, საღამოხანი იყო. დასასვენებლათ შეგჩერდით ზედა კოოპერაციის დუქანში. მეორე დღეს, ადრე დილით ბახმაროს გზას შევუდღეკით, რათგანც ფეხით მთაზე ასვლა ძალიან მძიმეა შეუჩვეველი ადამიანისთვის და სრულებითაც მოუხერხებელია ავათმყოფისთვის. ამიტომაც, ჩვენ ცხენები დავიკირავეთ.

სწორეთ ჯოჯოხეთური გზაა, ეს გზა. სრულებითაც არ ეტყობა, რომ ამ გზას როდისმე კაცის ხელი მიკარებოდეს. ნანიადვარებით, საცალფეხო ბილიკით და გვირაბებით მთაში მიმავალი გზა ბედის წვრას გაწყველიებს ადამიანს!

მუდამ აღმართით, ფეხდაფეხ მოსიარულეს და დაღრეჯილ კლდეებ შორის მხოხავ ჩალვადარს მუხლები მოსხლექილი აქვს; სიცხისგან

და სიმწრისგან მას ოფლი წურწურით მოსდის და გულ მოსული ბედს შეჩივის, რომ ასეთი შრომის გაწევა ხვთა წილათ, ორიოდ გროშის მოსაპოებლათ და ჯავრს, რასაკვირველია, მგზავრზე იყრის.

მგზავრი ერთი ორათ ჩავარდნილი ვაკივრებაში, ჯავრდება, გულს ერჩის, რომ ვერავის უზიარებს თავის მწუხარებას...

ნახევარი გზა გავიარეთ. ჰავრი შეთხელდა, ნაზი შეიქნა და, თითქოს კიდევაც შეგრილდა. სუნთქმა გვიძნელდება და დაღლილ—დაქანცული ვნატრობთ შესვენებას. ვეკითხებით ჩალვადარს, დღეს სად შევისვენებთ?

„სომლიაზე“, გვიპასუხებს და... მივიღვართ. აი, კიდევ ერთი ვაი-ვაგლახის აღმართის ავდივართ და ჩვენ „სომლიაზე“ ვართ.

**სომლია** მთის სახელია და მდებარეობს აქარის მთების გამოღმა პირზე. სიმაღლე აქვს 7500 ფუტი. აქ ორი დუქანია, სადაც მგზავრებს აქვს საშვალება შესვენონ და დანაყრდენ. ვაკიჯვრიდან სომლიამდი 17 ვერსი არი და მთელი საძნელო გზა გავლილია.

გზა და გზა მთისკენ საუცხოო სანახავეები ეშლება თვალწინ ადამიანს და მთიდან, რომ გადმოიხედავთ ვაკე ადგილებისკენ, ბუნების მდიდარ სიშვენიერეს საზღვარი ხომ არა აქვს და არა.

მაღალი ტყეებით დაბურული მთის კალთები ათას ფიქრს აღძრავენ მგზავრების გონებაში.

გზა და გზა წყაროებიც არი, მარა არც ერთი არ ვარგა დასალევათ, წიფლის წყაროს გარდა, რომელიც იქვე ასწლოვან წიფლის ხის გვერდით მოჩუხჩუხებს.

„სომლიის“ ვარშემო აქარის მთების უმაღლესი მწერვალეები ჯადოსურათ იყრიან თავს. ამ მთის ქოჩრები მდიდარი საბალახოებით არი გათქმული და მთის კალთები-კი სხვა და სხვა ჯიშის ტყეებით დაფარულია. ჩვენ „სომლიაზე“ დავჩრით ღამის გასათევათ. ამ მთის დასავლეთის მხრიდან მოჩანს შავი ზღვა, ფოთი „ბალიასტომის ტბით“ და მთელი ოდიშის არემარენი. მეტათ საინტერესო, თვალის წარმტაცი იყო ამ მთიდან, მზის ჩასვლა.

საღამო უამს ამ მთიდან, რომ გადმოვიხედეთ, შევამჩნიეთ, რომ არემარე ბურუსით იყო მოცული.

დიდებულ ზღვას, მთელი დღის გამავლობაში, შეუწყვეტელი ცელქობით მოღლილს, თითქოს ღივლივი დაკარგოდა... იგი ახლა თვა-



რიანი ლამის მომლოდინე, დასვენებას ეძლეოდა და ტკბებოდა დიადი მზის ჩასვლის ცქერით... მზე-კი, საღლაც შორიდან, აი, ცის კაბადონი, რომ ეამბორება ზღვას, იქ ვეებერთელა ცეცხლის ბურთათ ქცეული, მორცხვათ შემოყურებდა მთებს.

იგი იქ ერთხელ კიდევ შეტრიალდა, გაღმობხედა დედამიწას, თითქოს ვიღაცასი შეტრცხვა, აღმური გაუორკეცდა, მკრთალი სხივები უძღვნა მთების მწერვალებს და თან და თანობით დაიწყო ზღვაში ჩაყურყუმალბა. „მზე ჩაესვენა“...

სალამოს ბინდი თანდათან გახშირდა. სივრილეც საგძნობი შეიქნა... და ჩვენც დაღლილი სულით და ხორციით იქვე დუქანში დავბინავდით. მეორე დღეს ბახმაროსკენ გავწიეთ.

სომლიიდან ბახმარომდი ცხრა ვერსი გზა არი და ისიც თავდაღმართით სასიარულო.

ვასო ჭითავა.

(შემდეგი იქნება.)

## შვენიერი ნინო.

(ამბავი).

სალამო იყო. ცა წითლოდ კისკისებდა... თვლემდა ბუმბერაზი მთა... ეძინა ნიავს... ეძინა ფრინველთ... ლამის ბინდ მიყრილ მთის კალთებს ანგელოზისებური სიჩუმე დატრიალებდა.

არ ეძინა მხოლოდ მდნარე რიონს და, მასთან ორს თმა ჭალარა მოხუც მგზავრს. ისხდენ გზის პირას, საგანგებოთ დალაგებულ დასაჯდომ ქვებზე, თავს დაცქეროდენ მდორეთ მოღუდუნე რიონს და ზარბათ ეწაფებოდენ თამბაქოთ სავსე ყალიონებს.

— ალე!-ზარის ხმასავით გაისმა გაღმა, შავ მთის სირღმიდან ხმა აღამიანისა და გადასცეს მთებმა ერთი-მეორეს.

— ჩუ—ჩუ! მგზავრებმა ერთი-მეორე გააფრთხილეს, რო სიჩუმე არ დაერღვიათ და მთის სიღრმეს მიაპყრეს თვალეები.

— ალე! გამეორდა ხმა, უფრო ხმა მალა და გულ ამოსკენით გაიმეორეს მთებმა. შეწყდა ცის სივრცეში და კვლავ მღუმარებამ მოიცივა მიღამო.

— ეს, რა ხმა იყო?!—გაკვირვებით შეხედა ივანემ კაცისა და შეეკითხა: ქაჯები ხომ არ არიან მაგ ტყეში?! ქაჯები-კი არა, აღამიანია, ამოოხვრით უპასუხა კაციამ.

— აღამიანი!—გაკვირვა ივანემ—მერე,

რა აკივლებს ე მაგ უღაბურ მთაში?!

— ბევრი რამ, ჩემო ივანე! მოკლეთ უპასუხა კაციამ. ყალიონი გამორეკა ხელგულზე, და ახლათ დაუწყო თამბაქოს ტენა.

— მაინც რა?—დაინტერესდა ივანე.

— მაგის ამბავი ერთი პატარა ისტორიაა, მრავალ მნიშვნელობით წარმოთქვა კაციამ და გამზადებული ყალიონის ღერი ჩაიდვა პირში.

— მიამბე, თუ ღმერთი გწამს, კაცია, მოკლეთ მაინც—მუღარებით უთხრა ივანემ, დაკვესა და მოკიდებული აბედის ნაწვიწვი დაადვა კაცისა მზა ყალიონზე.

— მაგი გიჟი ნინოა, —ერთი ხარბათ გაღმობოლა თამბაქოს კვამლი კაციამ და დაიწყო.

— ერთი მდიდარი ქართველი თავადი-შვილის ქალიშვილი იყო ნინო, გათქმული მთელ საქართველოში, თავის ტანის ალვის ყლორტვიით მოყვანილობითა და სახის მომხიბვლელი სილამაზითაც...

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის კიდე არ იყო, როდესაც მაგისი შვენიერი სახის შუქი დღით ნათელ მზეს ეტოქებოდა: შენ ჩალი და მე გავანათებ საქართველოს არე-მარესო, ღამით, სავსე თვარის კაშკაშა, თვალთა მომხიბლავი ბწყინვალევა ვარსკვლავთა ციმ-ციმის მგზავსი რამ იყო. ამბობენ, მაგის მამის მდიდრულ სასახლეში, ღამე, როცა ნინო იმყოფებოდა, სანათი არ იყო საჭიროო.

დილის რიჟრაჟზე, როცა აიენიდან გაღმობხედავდა ხელოვნურათ გაშენებულ ბაღს, დაცვარნამებულო, თავდახრილი ყვავილეები, ვით მზის ცხოველ სხივებზე, აიმართებოდენ და გაიფურქნებოდენ მის მძლე სახის სხივთა ცქრიალზეო. ამნაირი საზღაპრო ღამეა იყო ნინო.

ამასთანვე გულითაც სათნო იყო და იმისთვის იმ სოფლის გლეხობამ მას, სასახელო ნინოს მიუმატა სიტყვა „შვენიერი“ და უწოდა „შვენიერი ნინო“. შეიქნა შვენიერი ნინო გასათხოვარიც. მარა, ვინ იყო, რო განდიდა თავს იმის ქმრობის ღირსათ?! მართლაც, თელი საქართველოს თავმოძწონე ყმა-წვილობა, გარდა ერთისა, თავადი, თუ ახნაური, მდიდარი, თუ ღარიბი, ყველა მხოლოდ მის ახლოს თვალთა ხილვას ნატრობდა... მეტი, რო ველარაფერი გაებედათ ამ ბუნებისგან უხვათ დაჯილდოებულ ან, როგორც იმ სოფლის ჯეილობა უწოდებდა, ზეციდან ჩამოფრენილ ანგელოზისთვის.

ეს ერთი პიროვნება დედის ერთა, ღარი-



ბი გლენის შვილი, სახელათ ალე იყო, რომლის ტანის წერწეტა სიკოხტავეს და სახის მიწიწიველს სილამაზეს ბევრათ ვერ გადაამეტებდა ნინოს შეენიერება.

შეუყვარდათ ხსენებულ ალეს და ნინოს ერთმანეთი წმიდა და ძლიერი სიყვარულით... მარა, ხომ იცი, ჩემო ივანე, თავად-აზნაურობის უთავბოლო, ჯერაც მიუტოვებელი ძველი ჩვეულება, რომ ჩვენ გლენობას ადამიანათ არ გვთვლიან?!..

რა თქმა უნდა, ნინოს მშობლებიც ხსენებულ ძველ ჩვეულების მორწმუნე იყვნენ და ამასთანვე თავიანთ ქალიშვილს უმაგალითო სილამაზითაც იყვნენ გაამაყებულნი და, როცა გაიგეს ნინოს გადაწყვეტილება ალესა და მის შორის ცოლ-ქმრობის პირობა, თავ-ზარი დავცათ.

— ვინც გინდა მოითხოვე, — უთხრეს მას: — თუ გინდა, მეფის შვილზე დაგწერათ ჯვარს, და მაგას-კი ნუ იზამო, ნუ დაკარგავ თავადი-შვილურ სისხლსო... მარა თავისუფალ ბუნების წიაღზე აღზდილს ნინოს, რომელსაც, გარდა ბუნების უცვლელი კანონისა, არავითარი ცხოვრების ცვალებადი კანონი არა წამდა, არ ეყურებოდა მათი დარიგება და თავისას არიშლიდა...

მოუსპეს შეენიერ ნინოსა და ალეს ჯვარისწერის საშუალება... მარა ვერც ამითი ჩააქრეს მძლავრი სიყვარულის გძნობები, როგორც ფიქრობდნენ ძველი ჩვეულების თავყვანის მცემლები, — ნინომ არაფრათ ჩააგდო ეს დაბრკოლება.

რადა ბევრი გავაგძელო, ჩემო ივანე, მინამ კიდევ ითმინეს, ნინოს მშობლებმა და ნათესავებმა, სანამ ნინოს სიყვარულის ნაყოფი, ფეხმძიმობის ნიშანი არ აღმოაჩნდა... მაშინ-კი მოთმინებიდან გამოსულებმა თავიანთი ქალიშვილი, რომ ვეღარ გაიმეტეს, იმ დედის ერთა უდანაშაულო ალეს სიცოცხლე გაწირეს...

ხომ იცი, ივანე ჩემო, ფულით მადლიც ბევრი შეიძლება და ცოდვაც, ამ, მართლაც, ცოდვილ ქვეყანაში: მოიყიდეს ვიღაც უღმერთნი...

ერთ დილას ადრე, როდესაც „შენიერი ნინო“ ახალ პირ დაბანილი იდგა სარკის წინ და ივარცხნიდა თავის ყოვლის ფერ ხშირ თმებს, ერთბაშათ შეძახა კარებიდან მოსამსახურე გოგომ: — ალე მოკლესო!.. ერთი განწირულებით იკივლა ნინომ, სისხლათ იქცია ლოყები და მოწყვეტილათ დაეცა იატაკზე.

— ალე! — გაიმეორა განწირულებით, რამდენიმე ხნის ციებიანივით კანკალის შემდეგ და წამოიჭრა ზეზე. სახე არევით გადევნა მამამისის სახლის მალალ აივანიდან, ერთი შეტრიალდა წაღმა უკუღმა სიცილ-ტირლით, შემოირბინა ის სოფელი და გავარდა მთათ, ასე „ალეს“ ძახილით.

მას აქითაა ასე დარბის მთათ და ასე განწირულათ დაკვირს თავის საყვარელ საქმაროს სახელს... შვილი, როგორც ამბობენ, ტყეში უშობნია და მიუტოვებია, რამდენიმე ხნის შემდეგ, ეკალ-ნარში უნახავთ იმ ტყის ნადირთ, შებრალებიათ, შოუყვანიათ ერთ გამოქვაბულს კლდეში და ირმის რძით ზღიანო. იმედი აქვთ კიდევ, რომ შვილი ისმენს დედის ასე განწირულ ხმას, გაიგებს ყოველივეს, თუ, რა უსამართლოთ მოუსპეს სიცოცხლე მის მშობლებს, ორთავ საქართველოს სიამიყევებს; გამოვა სოფლათ და შურს იძიებს!..

ოჰ, ნეტავი მართლა?! . ნატვრით წამოიძახა გულ აჩუყებულმა ივანემ და ძონძათ ქცეული რუხი ჩოხის კალთა ამოისვა ცრემლიან თვალეში.

— უეჭველათ, ივანე, უეჭველათ!.. შვილი მშობლების უდანაშაულო სისხლს ეიღებს, დამტკიცებით უთხრა კაციამ. ისინი წამოდგნენ და გაუდგნენ რიონის პირზე გაწოლილს ბნელით მოცულს შარა-გზას.

შენიერი ნინოს გულის მკოდველი ხმა-კი კვლავ გაისმოდა ხანგამოშვებით არე-მარეში და კვლავ მხოლოთ მთები აძლევდა ტანჯულ-წამებულ პასუხს...

მინა რაჭველი.

ქ. ორიოლი.

რედაქტორ-გამომცემელი **რომანოზ ფანცხავა**



# სალიტერატურო კონკურსი

სიტყვა კაზმულ ნაწარმოებზე.

ვაცხადებ სალიტერატურო კონკურსს საუკეთესო სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებზე.  
ფულის პრემია 50 მანათი.

- 1) კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ყველამ.
- 2) ნაწარმოები უნდა იყოს ორიგინალური და დაუბეჭდავი.
- 3) ნაწარმოები თავის ზომით არ უნდა ჭარბობდეს ერთ საბეჭდ ფურცელს (16 გვ.) და არ უნდა იყოს ნაკლები ფურცელის მეოთხედისა (4 გვ.)
- 4) უკანასკნელი ვადა საკონკურსო მასალის წარმოდგენისა არი 30 ნოემბერი, 1916 წ.
- 5) დაჯილდოება მოხდება ქუთაისის თეატრში, საზოგადოების თანდასწრებით.
- 6) დაჯილდოების დღე 18 დეკემბერია.
- 7) დაჯილდოებული მოთხოვნიან პურნალ „ცხოვრებაში“ დაისტამბება, ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიული ცნობებით.
- 8) ქუთაისის წევრები შედგებიან: გაზეთების „მეგობრის“, „სამშობლოს“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციების წარმომადგენლებიდან (თითო პიროვნება) და ერთს მე ვინაა.
- 9) ქუთაისის წევრები მონაწილეობას კონკურსში ვერ მიიღებენ.
- 10) არჩეულ პირებს ნება აქვთ მოიწვიონ კიდევ ორი წევრი, თუმცა საჭიროთ დაინახავენ.
- 11) საკონკურსო მასალა გამოიგზავნება „მეგობრის“ რედაქციის მისამართით, ჩემ სახელობაზე, რომელსაც ზვიდან უნდა ეწეროს რამე დევიზი. ნაწარმოები ხელ მოუწერელი უნდა იყოს. მეორე კონვერტში იქნება აღნიშნული ავტორის ვინაობა, მხოლოდ კონვერტზე საკონკურსო ნაწარმოების დევიზი უნდა იქნას წარწერილი.
- 12) ვინც საკონკურსო პირობებს დაარღვევს, მისი ნაწარმოები გაურჩეველი დარჩება.

მასო ქითავა

ქ. ქუთაისი.

P. S. ვთხოვ, სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს განცხადება.

ვ. ჯ.

## მიიღება ხელის მოწერა 1916 წელსა

სალიტერატურო, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ჟურნალზე

# „სსოპრება-ზე“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. წლიურათ ჟურნალი ედირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 მ., თვიურათ 10 შაური. წლიურ ხელის მოწერალებს ფულის გადასდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აბრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრებებს ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისილორე კვიციარიძესთან. გორში — ალექსანდრე რამანიშვილთან, ქიათურაში — პლატონ კილასონიასთან, სამტრედიისში მინა კობალეიშვილთან, ბათუმში — „განთავის“ კანტორაში, საჩხერეში — სიმონ გაჩეჩილაძესთან, ბაქოში — სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და პეტროგრადში — ალექსანდრე არაბიძესთან...

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.